საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიცრუეა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 24 იანვარი. 2024 წ. №9 (9689) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

აპოკალიფსის არ შეგეშინდეთ!

NATO-ს „მუქარა“ გულისხმობს მიზანს – თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის!

ყველაზე მასშტაბური წვრთნები ცივი ომის შემდეგ – NATO რუსეთთან ომისთვის ემზადება!

3

ქართველი კაპიტნის ვაჟა ჯანგველაძის მეთაურობით, მეზღვაურებმა 34 ადამიანი გადაარჩინეს

„20 იანვარს, ღამის საათებში ხმელთაშუა ზღვაში მცურავ გემს, Lider Halil-ს კუნძულ კრეტას სამაშველო სამსახური დაუკავშირდა და მათთან ახლოს მყოფი მიგრანტების ნავის შესახებ შეატყობინა, სადაც ათეულობით ადამიანი იმყოფებოდა და შველას ითხოვდა.

ქართველი კაპიტნის ვაჟა ჯანგველაძის მეთაურობით, დაუყოვნებლივ დაიწყო სამაშველო-სამძებრო ოპერაცია, რომელიც 3 საათი გაგრძელდა (20:00-23:00). ეკიპაჟის პროფესიონალიზმისა და ძალისხმევის წყალობით, 34 ადამიანი სიკვდილს გადაურჩა.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ეკიპაჟის 14 წევრიდან სამი ქართველი მეზღვაურია: კაპიტანი ვაჟა ჯანგველაძე, უფროსი თანაშემწე როდამ ფუტკარაძე და მეორე მექანიკოსი ჯივან გურგენიძე“, – ნათქვამია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



5

ფრიდონ თოდუა — ქართული კლინიკური მედიცინის რეფორმატორი

„ევ-ჯე-ოს“ ლაქიები და სიწმინდეთა შემბილწველნი უნდა მოვიშოროთო!

იხ. 4 გვ.

არჩევნების შემდეგ USAID შესაძლოა, საქართველოსაც დაემშვიდობოს!

6 აგვისტოს ომის დამნაშავეებმა მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი!

7

რეზო ჯაბნიძე — წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი

აფხაზ ხელოვანთა „ოქროს ფონდი“ ხანძარმა შთანთქა!

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** სოციალურ ქსელ X-ში გამოეხმაურა სოხუმის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაჩენილი ხანძრის შედეგად ხელოვნების ნიმუშების განადგურებას.

„ხანძარი, რომელმაც გაანადგურა ოკუპირებულ აფხაზეთში სოხუმის ეროვნული გალერეა, ტრაგედიაა თითოეული ჩვენგანისთვის. ვწუხვარ იმის გამო, რაც წარმოადგენს პირდაპირ შედეგს კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფისა როგორც დე ფაქტო ხელისუფლების, ასევე რუსი ოკუპანტების მხრიდან“, – წერს **სალომე ზურაბიშვილი.**

საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს, „ყურადღება გაამახვილოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხზე“.

„აფხაზეთის მხატვართა კავშირის“ შენობის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში ხანძარი, რომლის შედეგადაც „ეროვნული სამხატვრო გალერეის“ თითქმის მთელი ფონდი დაიწვა, კვირას, ღამით გაჩნდა.

დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. კულტურის მინისტრის, დინარა სმირის განცხადებით, ოთხი ათასი ნახატიდან მხოლოდ 150-მდე გადარჩა. განადგურდა ალექსანდრე ჩაჩბა-შერვაშიძის ყველა ნამუშევარი.

● აფხაზეთის ეროვნული გალერეა შეიქმნა 1963 წელს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოცემული მრძანებულების საფუძველზე. მის დაარსებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოხუმის მკვიდრმა, ხელოვნების დიდმა მოყვარულმა, ექიმმა იოზეკიელ ფიშკოვმა, რომელმაც გალერეას სახლი და 60 ტილო შესწირა.

● 1964 წლის 17 მარტს, როცა გალერეა გაიხსნა, დაწესებულებას თავისი ნამუშევრები გადასცეს მხატვრებმა მ. ეშბამ, ო. მრენდელმა, ი. ცომაიამ, ი. ივანგამ და სხვ. თავდაპირველად გამოიფინა 100 ნახატი და 20 სკულპტურა. დროთა განმავლობაში კოლექცია მნიშვნელოვნად გაიზარდა და გამდიდრდა.

● გალერეის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1985 წლის 17 მარტს, როცა ექსპოზიცია გადავიდა ახალ მისამართზე, ლაკობას 17-ში. ამავე დღეს აფხაზეთში გადაასვენეს ცნობილი აფხაზი მხატვრის, ალექსანდრე ჩაჩბა-შერვაშიძის ნეშტი.

● აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პირველი ე.წ. პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას გადაწყვეტილებით, გალერეას გამოუყვეს ახალი შენობა – პუშკინის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ქალთა გიმნაზიის სახით, თუმცა ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო ვერ მოხერხდა შენობის სათანადო მდგომარეობაში მოყვანა.



„....თუ მშენებელი ბიძინა ივანიშვილია, ეს უკვე კრიმინალია“!

ადამიანთა უგუნურებას არა აქვს საზღვარი

ფონდი „ქართუს“ განცხადება

რამდენიმე ტელეკომპანიამ, რომელთა ზურგს უკან მარტივად ამოიცნობა კონკრეტული პოლიტიკური ძალები, გაშალეს შავი პიარის ერთიანი ფრონტი ბიძინა ივანიშვილისა და ფონდი „ქართუს“ წინააღმდეგ, – ამის შესახებ ფონდ „ქართუს“ განცხადებაშია ნათქვამი.

„მცირე პაუზის შემდეგ, პოლიტიკურად ანგაჟირებულმა მედიამ ისევ შეუტია ფონდ „ქართუს“. ბოლო დღეებში რამდენიმე ტელეკომპანიამ, რომელთა ზურგს უკან მარტივად ამოიცნობა კონკრეტული პოლიტიკური ძალები, გაშალეს შავი პიარის ერთიანი ფრონტი ბიძინა ივანიშვილისა და ფონდი „ქართუს“ წინააღმდეგ.

შეტევა ერთმნიშვნელოვნად კოორდინირებულია, ვინაიდან, სხვადასხვა სიუჟეტს ფონად გასდევს ერთიანი „ლაიტმოტივი“ – „ივანიშვილი თავისი სამშენებლო აქტივოებით ჩადის დანაშაულს“, რითიც მაყურებელთა ცნობიერებაში სპეციალურად ყალიბდება განწყობა, რომ მშენებლობა ბოროტებაა, ხოლო თუ მშენებელი ივანიშვილია, მაშინ ეს უკვე კრიმინალია.

არადა, წინა ხელისუფლების პერიოდში იგივე „მედიაკლასტერი“ ნებისმიერ მშენებლობას პოზიტიურ ჭრილში განიხილავდა და მაშინდელი ხელისუფლების მიერ ხშირად ერთი და იგივე ობიექტების მრავალჯერ საზეიმოდ გახსნას ზარ-ზეიმით აშუქებდა, რაც, პრინციპში, არც არის დასაძრახი, რამეთუ ზოგადად აღმშენებლობა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება პოზიტიური და სასარგებლო მოვლენაა. პრობლემა ჩნდება ორმაგი სტანდარტების შემოღებისას, როდესაც საღი აზრი ეწირება პოლიტიკურ დაკვეთას და ის, რასაც წინა ხელისუფლის დროს ლამის გმირობად წარმოაჩენდი, დღეს დანაშაულად გაქვს გამოცხადებული.

ცხადია, რომ ამ უსუსური, მაგრამ კარგად ორკესტრირებული მრალდებების უკან, რეალურად, მხოლოდ პოლიტიკური სარჩულია. თუმცა ვინაიდან ნებისმიერი მსგავსი გამოხტომის რეაგირების გარეშე დატოვებამ, შესაძლოა, ვინმეს თვალში დამაჯერებლობა შესძინოს ამ შეთითხნილ მრალდებებს, იძულებულები ვართ, კვლავაც პასუხი გავცეთ მათ გამავრცელებლებს.

საჯაროდ ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილის ოჯახმა საქართველოში არსებული აქტივების უდიდესი ნაწილი საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გადასცა. ფონდი უშუალოდ ან თავისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით მართავს ამ აქტივებს და მიღებულ შემოსავალს კვლავ საქველმოქმედო მიზნებს ახმარს. ეს არის გამჭვირვალე და კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობა.

ბუნებრივია, ჩვენ წინააღმდეგ მართული მედიაკამპანიის მიზანს არ წარმოადგენს სიმართლის დადგენა. ყველა სიუჟეტი იფუთება მაქსიმალურად გაუგებარი ფრაზებით, რომლებსაც, როგორც წესი, ისვრიან საეჭვო წარმომავლობის „ექსპერტები“. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ დაამნიონ რიგითი მსმენელი და მასალის გადმოცემის სიმძაფრით, ტონალობით, ხშირად მუსიკალური გაფორმებითაც კი, შეუქმნან მას მათთვის სასურველი განწყობა და დააჯერონ იმაში, რომ ადგილი აქვს საშინელ, მზაკვრულ დანაშაულს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიზანი იყო, დაეჯერებინათ მაყურებლისთვის, რომ „ქველმოქმედებას ამოფარებული ივანიშვილი ცდილობს ქველმოქმედებით ფულის შოვნას“. არადა, რეალურად, ივანიშვილების ოჯახი ფონდი „ქართუს“ ერთადერთი დონორია, ანუ ბიძინა ივანიშვილი ფონდს თავად სწირავს რეგულარულად საკუთარ სახსრებსა და შემოსავლებს და ქველმოქმედების საკითხს იმდენად ფაქიზად ეკიდება, რომ ფონდის არსებობის ლამის 30-წლიანი ისტორიის მანძილზე არც ერთხელ დაუფინანსებია ფონდის მეშვეობით თავისი ოჯახის რომელიმე წევრი, ნათესავი ან ახლობელი – ამ დროს კი მას ფონდის ხარჯზე გამდიდრებას ედავებიან!

ამ შემთხვევაშიც სიმართლე ზედაპირზეა: ფონდის შვილობილმა კომპანიებმა გაასხვისეს თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რაზეც მომავალმა ინვესტორმა უნდა განახორციელოს სამშენებლო პროექტი. მიწის გაყიდვებით მიღებულ შემოსავალს ფონდი თავისი საქველმოქმედო მიზნებისკენ მიმართავს და მიმდინარე პროექტებს დაახარჯავს.

უკვე მრავალჯერ საჯაროდ გაცხადდა, რომ, გასაგები მიზეზების გამო, ბიძინა ივანიშვილი დღეს, ფაქტობრივად, არაფორმალური სანქციების ქვეშ იმყოფება, რაც, ბუნებრივია, აფერხებს ფონდისადმი მის დონაციებს. მიუხედავად ამისა, ფონდი დღესაც აგრძელებს პროექტებს და ასეულობით მილიონ ლარს ხარჯავს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. თუმცა, რომ არ ყოფილიყო ზემოთ ხსენებული წინააღმდეგობა, ორჯერ და სამჯერ მეტ სამუშაოს შეასრულებდით და გაცილებით წინ წავწევდით არსებულ პროექტებს, რომელთა შორისაა ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის უმნიშვნელოვანესი ობიექტები.

იქმნება პარადოქსული ვითარება, რა დროსაც, თუ ფონდი სამშენებლო გეგმებს სადმე ჩამორჩება, გვაკრიტიკებენ ნელი ტემპისთვის, ხოლო სადაც არა – იქ თავად მშენებლობა ცხადდება ბოროტებად, რისთვისაც დაუსრულებელ უსუსურ და ამსურდულ მრალდებებს გვიყენებენ.

იხ. 5 გვ.

გიორგი ტყემალაძე: ოპოზიციას სიმართლის მოსმენა არ სურს!

თგილისის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის განცხადებით, ოპონენტებს არ სურთ თვალი გაუსწორონ სიმართლეს, არ უნდათ აღიარონ, თუ რა მასშტაბის საქმიანობა აქვს გაწეული ფონდ „ქართუს“ დედაქალაქში, – ამის შესახებ **გიორგი ტყემალაძემ** გუშინ საკრებულოს სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებმა კარგად იციან, რამდენი უმნიშვნელოვანესი ობიექტი გადაარჩინა ფონდმა, თუმცა ამას ჯიუტად არ აღიარებენ.

„მათ ხომ ძალზე კარგად უწყიან, თუ რამდენი უმნიშვნელოვანესი ობიექტი გადაარჩინა ფონდმა, თუმცა ამას ჯიუტად არ აღიარებენ. ვფიქრობ, რომ მეტი პასუხისმგებლობა უნდა გქონდეთ. ჩვენი ქალაქისთვის არაერთი ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ობიექტი არის გადარჩენილი ფონდ „ქართუს“ მიერ.

ესენია: **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებითაც ძალიან ვამაყობთ, სპორტული ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებული საქველმოქმედო პროექტები, ასევე ჯანდაცვის და გარემოსდაცვითი საქველმოქმედო პროექტები. მე არ მახსენდება ჩვენი ოპონენტებიდან არავინ, დადებით კონტექსტში ერთხელ მაინც რომ ეთქვას რაიმე ამ პროექტებთან დაკავშირებით. ეს კი, მიუხედავად პოლიტიკური განწყობებისა თუ სიმპათიებისა, არის უპასუხისმგებლობა და დანაშაული ჩვენი ქალაქის მიმართ“,** – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარემ აქვე აღნიშნა, რომ ოპოზიციას სიმართლის მოსმენა არ სურს. **„რეალობა რაც არის, უნდა ითქვას. თქვენ სიმართლეს თვალს არ უსწორებთ“!** – დასძინა გიორგი ტყემალაძემ.

გიორგი კალანდარიშვილი: ტექნოლოგიებს წუნი არა აქვს!

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირებს ხვდება. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებაა.

როგორც კალანდარიშვილმა აღნიშნა, დღევანდელი დღის წესრიგი აგებულია საარჩევნო ტექნოლოგიების ირგვლივ პოლიტიკური პარტიების ლიდერების ინფორმირებაზე.

„გრძელდება საინფორმაციო კამპანიების ციკლი, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია ელექტრონულ სერვისებთან დაკავშირებით ახორციელებს. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირებსა და ლიდერებს მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან და იმ გზასთან დაკავშირებით, რაც გაიარა ტექნოლოგიურმა განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში.

სპეციალურად დღევანდელი დღისთვის, ჩვენი მოწვევით ქვეყანაში ჩამოვიდნენ აუდიტორული კომპანიის ხელმძღვანელი პირები, რომლებიც მათ გააცნობენ ასევე შესაბამისობის აუდიტის მიგნებებსა და რეკომენდაციებს ტექნოლოგიებთან მიმართებით. ასევე ქვეყანაში იმყოფებიან საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკის“ წარმომადგენლები, რომლებიც ასევე დეტალურად მიაწვდიან პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირებს ინფორმაციას ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით“, – განაცხადა კალანდარიშვილმა.

ცესკოს თავმჯდომარის თქმით, საარჩევნო ადმინისტრაცია და ქვეყანაში გამოყენებული ტექნოლოგიები პასუხობს ვენეციის კომისიისა და ევროსაბჭოს კარგ სტანდარტს, „რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში ფართომასშტაბიან ტექნოლოგიურ ინტერვენციამდე მისი გამოყენება რამდენიმე ეტაპად უნდა იყოს განხორციელებული“.

NATO-Ს „ᲛᲣᲥᲐᲠᲐ“ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ – ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ, ᲔᲛᲖᲐᲓᲔ ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲡ ᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲒᲐᲡᲪᲓᲔᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲦᲝᲗ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲜᲐᲢᲝᲡ ᲝᲛᲘ, ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘ ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ – NATO ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ!

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲐᲤᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ, ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ. NATO-ᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲘᲡ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲤᲚᲐᲜᲒᲖᲔ, ᲗᲣᲙᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲔᲑᲐ. ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ „Steadfast Defender 2024“ – ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ 2024“, ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ 90 000 ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, **„Steadfast Defender 2024“** ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲡ NATO-Ს ᲣᲜᲐᲠᲡ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲚᲐᲒᲝᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ „**Steadfast Defender**“-ᲖᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲐ 1988 ᲬᲔᲚᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ 125,000 ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ.

NATO-Ს ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ, **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲒᲐᲣᲔᲠᲘᲡ** ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲓᲝᲜᲓᲜᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲣᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ.

„ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲛᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. NATO ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲓᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲐᲠᲐᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲝᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ NATO-Ს ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲝᲗ, ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ, ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲤᲐᲠᲗᲝᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲛᲝᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲠᲝᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ. ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ“, – ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ **ᲠᲝᲑ ᲒᲐᲣᲔᲠᲛᲐ.**

ᲛᲐᲛ ᲐᲡᲔ, ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲡ ᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲒᲐᲡᲪᲓᲔᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲦᲝᲗ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲜᲐᲢᲝᲡ ᲝᲛᲘ, ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ.

�პᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ** ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲚᲐᲒᲝᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲠᲘᲢᲝᲠᲘᲙᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡ.

„ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲙᲔᲗᲝᲜ. ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲐ ᲓᲐ ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗᲝ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ, ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ.

ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲐᲨᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲜᲓ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲐ ᲔᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲫᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲐᲪ ᲪᲝᲢᲐ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲓᲐ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲔᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ“, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ for.ge-ᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ.**

ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲣᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲩᲐᲠᲩᲝᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲜᲐᲢᲝ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ. ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲝ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝᲛᲐᲓᲝᲑᲐᲨᲘ.

„ᲐᲥ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ. ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲙᲣᲚᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲖᲔᲬᲠᲝᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ 90 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲛᲓᲐ ᲐᲛ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲔᲤᲜᲔ, ᲗᲣ ᲡᲐᲡᲬᲠᲝᲠᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲔᲧᲝᲤᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲐᲢᲝᲡ, ᲘᲡᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲐᲠᲘᲦᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝᲛᲐᲓᲝᲑᲐᲨᲘ.

„ᲐᲥ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ. ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲙᲣᲚᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲖᲔᲬᲠᲝᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲓ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲥᲕᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲫᲐᲚᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲔᲑᲘ, ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲔᲑᲘ, ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲕᲜᲐᲮᲔᲗ ᲙᲘᲑᲔᲠᲨᲔᲢᲔᲕᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲡ. ᲐᲜᲣ, ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲔᲑᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲝᲡ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲛᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲐ. ᲐᲥᲡᲘᲝᲛᲐᲐ, ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ, ᲔᲛᲖᲐᲓᲔ ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲐᲗ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲝᲜ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲔᲑᲐ.

ᲐᲛ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲛᲔ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ. ᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲠᲔ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ for.ge-ᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲤᲮᲐᲚᲐᲫᲔ.**

ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲝᲛᲘ. ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲠᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲫᲐᲚᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲔᲑᲘ, ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲔᲑᲘ, ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲕᲜᲐᲮᲔᲗ ᲙᲘᲑᲔᲠᲨᲔᲢᲔᲕᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲡ. ᲐᲜᲣ, ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲔᲑᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢ

„ენ-ჯე-ოს“ ლაქიები და სიწმინდეთა შემბილწველნი უნდა მოვიშორროთო!

ის ორგანიზაციები, რომლებიც ამათ აფინანსებს“, – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **ედიშერ გვენეტაძემ.**

„ხალხის ძალის“ წევრის, ანალიტიკოსის **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, როგორც კი ამ ქვეყნის რომელიმე მამულიშვილი გაბედავს საკუთარი ისტორიის, წინაპრების, დედა-ეკლესიის სადარაჯოზე დადგეს და დაიცვას ისინი „ლუციფერის მსახურებისაგან“ - ყველა ხვრელიდან ამოდიან ეს „ავი სულები“, „ენ-ჯე-ო“-ს სექტორს ამოფარებული ლაქიები და რიტუალურ „ვუდუ-ცეკვებს“ გვთავაზობენ, ჯერ კიდევ 2003 წლიდან გამოცხადებული ქართველობის გენოციდის ფარგლებში.

„ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილის, ირაკლი კობახიძის შემდგომ, მათი სამიზნე – შალვა პაპუაშვილი გახდა. USAID-ის მიერ ცინიზმზე და პარლამენტის სპიკერის „ბულინგზე“ წახალისებული „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ და მისი მენეჯმენტი, შალვა პაპუაშვილის მიერ ეკლესიის და სარწმუნოების დაცვას უწოდებს „მანიპულაციურ, სპეკულაციურ, არაეთიკურ და სიძულვილის ენის შემცველ“ განცხადებას.

დღეს სწორედ USAID და მისი „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ცენტრის“ მსგავსი მარionეტები უკვე ტაძრებიდან გვდევნიან, გვიბილწავენ ხატებს, შეურაცხყოფენ საუფლო დღესასწაულებს და სამიზნეში ჰყავთ აყვანილი ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის სადარაჯოზე მყოფი პატრიოტები. „დასაჭერთა“ და „დასახვრეტთა“ სიები უკვე გავლილი გვაქვს. დღეს შალვა პაპუაშვილია ამ სიებში, ხვალ ჩვენი ჯერიც დადგება. პრეზიდენტი – თუ როგორ უნდა შეაჩერო ეს განუკითხაობა, ჩვენს უშუალო სამეზობლოში უკვე შეიქმნა“, – აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

თამთა ძარჩავა

არჩევნების შემდეგ USAID შესაძლოა, საქართველოსაც დაემშვიდობოს!

აზერბაიჯანის შემდეგ USAID-მა შეესაძლებელია საქმიანობა საქართველოშიც ვეღარ გააგრძელოს. ამერიკულ ორგანიზაციას აზერბაიჯანში პოლიტიკურ კორუფციაში, აზერბაიჯანოფობიასა და თურქოფობიაში ადანაშაულებენ, საქართველოში კი ეს ორგანიზაცია აფინანებს რადიკალურ ძალებს, ლობირებს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას, ასევე აფინანსებს ანტიეკლესიურ ძალებს. USAID-ის „ქველმოქმედებას“ ნიღაბი პარლამენტის თავმჯდომარემ ჩამოხსნა.

როგორც აღმოჩნდა, „ტოლერანტობის ცენტრი“, რომელსაც **გეკა მინდიაშვილი** ხელმძღვანელობს, სწორედ USAID-ის მიერ ფინანსდება. **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, ადამიანი, რომელიც გამოირჩევა რელიგიური შეუწყნარებლობით და რელიგიური ისტერიის გაღვივებით, ამერიკული დაფინანსების მიღებას ახერხებს.

„რაც შეეხება ამ ე.წ. ცენტრის დაფინანსებას, როგორც ირკვევა, ის ფინანსდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ერთ-ერთი პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში. ძალიან ვწუხვარ, რომ უკვე მერამდენედ, USAID ექცევა მისი სახელით დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული სკანდალის ეპიცენტრში. აღმოჩნდა, რომ ადამიანი, რომელიც გამოირჩევა რელიგიური შეუწყნარებლობით და რელიგიური ისტერიის გაღვივებით, ახერხებს ამერიკული დაფინანსების მიღებას, თანაც იმ საქმისთვის, რომლის აბსოლუტურად საპირისპიროდაც თავად მოქმედებს.

საქართველოს ეკლესიის და მისი მრევლის წინააღმდეგ საქმიანობის ხელშეწყობა ქართველი ხალხის ინტერესს რომ არ პასუხობს, ეს თავისთავად ცხადია, თუმცა მე, ამავე დროს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სხვა ქვეყანაში რელიგიური შეუწყნარებლობის დაფინანსება არც ამერიკელი ხალხის ინტერესშია. ამიტომ, ჩემი მოლოდინია, რომ USAID-ის ხელმძღვანელობა მალე გაერკვევა ამ საკითხში და იმოქმედებს ამერიკელი და ქართველი ხალხის საუკეთესო ინტერესში“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

პარლამენტის თავმჯდომარის ბრალდებას კრიტიკით პასუხობს საქართველოში USAID-ის წარმომადგენლობა და აღნიშნავენ, რომ აშშ-ის მთავრობა, USAID-ის მეშვეობით, ქვეყნის ხელშეწყობის ფარგლებში და საქართველოს საკეთილდღეოდ, მრავალ ორგანიზაციასთან მუშაობს ტოლერანტობის მხარდასაჭერად. ამერიკულ ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ მუდმივი, ღია და გამჭვირვალე კომუნიკაცია აქვს საქართველოს მთავრობასთან იმის თაობაზე, თუ როგორ უჭერს მხარს მისი პროგრამები საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

პაპუაშვილის განცხადებას გამოეხმაურა თავად **გეკა მინდიაშვილიც** და განმარტა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, მიმართულია მისი, როგორც ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, არის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის ეთიკის უხეში დარღვევა.

„პარლამენტის თავმჯდომარე არაკომპეტენტურია რელიგიური და თეოლოგიური ხასიათის საკითხებზე მსჯელობისა და შეფასებისას. ამ კუთხით, მისი მხრიდან ეკლესიის „დაცვის“ მცდელობა ფარისეველობაა. ამგვარი განცხადებების საფუძველი ხელისუფლების მხრიდან ეკლესიით პოლიტიკური მანიპულირების სურვილია და, ამავდროულად, ტოლერანტობის კულტურის, რელიგიის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები შეიძლება იყოს. ტოლერანტობის ცენტრი დაარსების დღიდან იცავს რელიგიის თავისუფლებას და ემსახურება სამოქალაქო ინტეგრაციის მიზანს“, – წერს **გეკა მინდიაშვილი.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, **გია ვოლსკის** განცხადებით, გაუხარდებოდა, USAID-მა არ იცოდეს, რომ მის მიერ დაფინანსებული პროგრამა „უგვანოდ“ გამოიყენა კონკრეტულმა ადამიანმა და ადამიანების ჯგუფმა. მისივე თქმით, როდესაც USAID აკეთებს განცხადებას, მან წინასწარ უნდა იცოდეს, რომ მის მიერ დაფინანსებული გარკვეული პროგრამა, კონკრეტული ორგანიზაციის მიერ არ არის იმ კონტექსტში განხილული, რისთვისაც თანხა აქვს მიღებული.

„შალვა პაპუაშვილი ვალდებულია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა წევრს მიაწოდოს ინფორმაცია. შემდეგ, უკვე, საზოგადოება გადაწყვეტს ვინ აკეთებს სწორ განცხადებას და ვინ დგას სწორ პოზიციაზე. USAID-მა უფრო უნდა ჩაიხედოს თავის დაფინანსებულ პროგრამებში, ვინაიდან სათაური, რომელსაც იგი აფინანსებს, აბსოლუტურად სხვა არის. ეს განმეორებით არ უნდა მოხდეს“, – განაცხადა **გია ვოლსკიმ.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** მიიჩნევს, რომ ამ ორგანიზაციამ უნდა შეიცვალოს სახელწოდება და საზოგადოებას უნდა გააცნონ არა როგორც ტოლერანტული ძალები, არამედ ტროცკისტულ, ნიკიტისტური ძალები.

„მათი მიზანია ქართველ ხალხს აევსოს მოთმინების ფიალა და ვინაიდან ქუჩაში ვერაფერს ვერ მიაღწიეს, არჩევნებში მერამდენად დამარცხდნენ, ახლა უნდათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია ეკლესიის გამოყენებით, ვინაიდან ქართველი ხალხისთვის საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია არის დედაეკლესია და თქვენ წარმოიდგინეთ, როცა ვიღაცა დედას ეხება და ეხება ისეთი სახვრალი ხელით, როგორც ამას აკეთებს იგივე ბერძენიშვილი, მინდიაშვილი, ლიანკა ხომტარია, ნინია კაკაბაძე და ეს „ნახმარა“ ფერაძე, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს.

ეს ძალები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოში ვითარება არიონ, გააუბედურონ ქვეყანა და იცოდეს ყველამ, რომ ესენი იკვებებიან იმ ცენტრიდან, რომელიც იმყოფება ოკეანის გაღმა და ოკეანის გაღმა ორგანიზაცია არის სწორედ USAID, რომელიც გაძევებულია აზერბაიჯანიდან და, ალბათ, მალე მოუწევთ იმ რეალობის წინაშე დგომა, რომ გაძევდებიან საქართველოდანაც!

ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ შეესაძლებელია, საქართველოს ხელისუფლებამ მიბაძოს აზერბაიჯანს და უკვე საქართველოშიც შეუჩერდეს მუშაობის უფლება ამერიკულ ორგანიზაციას, რომელიც ქვეყანაში აფინანსებს ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის აფინანსებს რადიკალურ ძალებს.

„საქართველოს ხელისუფლებას უნდა თუ არა, ასე უნდა მოიქცეს და რატომ? - იმიტომ, რომ ეს ორგანიზაცია პირდაპირ ემუქრება საქართველოს ხელისუფლებას, ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. დამეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ორგანიზაციის საქართველოდან გაგდება არ მოხდება არჩევნებამდე. არჩევნების შემდეგ არა მარტო ამ ორგანიზაციის გაგდებას, არამედ მთელი რიგი კანონების მიღებას ველოდები, რომლის მეშვეობითაც მინდიაშვილები, კაკაბაძეები, ფერაძეები და ასეთი ნაყარ-ნუყარი ხალხი აუცილებლად უნდა წარდგნენ ქართული სასამართლოს წინაშე და, რა თქმა უნდა, კანონის ძალით ქვეყნიდან უნდა იქნენ გაძევებული

ევროსაბჭო აზერბაიჯანის წინააღმდეგ

ევროპელ ლიდერებს მიაჩნიათ, რომ მაქო უნდა დაისაჯოს მათი ნების საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედებებისთვის, თუმცა ავიწყდებათ, რომ აზერბაიჯანისთვის არა მარტო საპარლამენტო ასამბლეაში ხმის ჩამორთმევას, არამედ თავად ამ სტრუქტურასაც აღარ აქვს მნიშვნელობა, – ამის შესახებ აზერბაიჯანული გამოცემა „ტრენდი“ წერს.

„აზერბაიჯანი ერთ დროს ევროპის საბჭოს წევრი გახდა ყარაბაღის პრობლემის მოგვარების იმედის გამო, თუმცა ეს სტრუქტურა მრავალი წლის განმავლობაში არ იღებდა ზომებს აზერბაიჯანის წინააღმდეგ არსებული სომხეთის აგრესიისა და ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტის წინააღმდეგ. კმაყოფილდებოდა მხოლოდ რამდენიმე განცხადებით, რომელსაც იურიდიული წონა არ ჰქონდა“, – წერს აზერბაიჯანული მედია.

ამასთან, როგორც მედია იუწყება, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და მოუწოდებდა სომხეთს, დაეტოვებინა ოკუპირებული ტერიტორიები, ამის განსახორციელებლად არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

„ყარაბაღის პრობლემა უკვე მოგვარებულია. აზერბაიჯანს არ სჭირდება ევროპის საბჭო, რომელსაც ამჟამად ევროპაში ავტორიტეტი არ აქვს“, – წერს აზერბაიჯანული მედია.

მედიის შეფასებით, თუ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა გადაწყვეტს, აზერბაიჯანის დელეგაციას შეუზღუდოს ხმის უფლება, მიზანშეწონილი იქნება, აზერბაიჯანის დელეგაციამ შეწყვიტოს საქმიანობა ამ ორგანიზაციაში. გარდა ამისა, როგორც მედია წერს, შესაძლოა, აქტუალური გახდეს აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციისგან გასვლა. აზერბაიჯანულ მედიაში ეს მასალა მას შემდეგ გამოქვეყნდა, რაც ცნობილი გახდა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა აზერბაიჯანის დელეგაციისთვის უფლებამოსილების შეზღუდვის საკითხზე იმსჯელებდა.

„ტრენდის“ ცნობით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის პირველ შეხვედრაზე აზერბაიჯანის დელეგაციის რწმუნებათა სიგელები არ დამტკიცდა. მათივე ინფორმაციით, გერმანელი დეპუტატის, ფრანკ შვაბეს წინადადებას, რომ აზერბაიჯანის დელეგაციას უარი ეთქვას რწმუნებათა სიგელების დამტკიცებაზე, მხარი დაუჭირეს და გადაუგზავნეს მონიტორინგის კომიტეტს გადაწყვეტილების მისაღებად. მონიტორინგის კომიტეტმა გადაწყვეტილება 24 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს. როგორც გერმანელმა დეპუტატმა აღნიშნა, არსებობს მიზეზები პროცედურის დასაწყებად, კერძოდ: „ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობა, მთიანი ყარაბაღიდან ადამიანთა ძალადობრივი განდევნა, ის ფაქტი, რომ ასამბლეის მომხსენებლებმა 2023 წლის განმავლობაში აზერბაიჯანში ჩასვლა, სულ მცირე, სამჯერ ვერ მოახერხეს და 7 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად ასამბლეის არყოფნა“. აზერბაიჯანული მედია წერს, რომ აზერბაიჯანის დელეგაციამ დღეს გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო, თუმცა მათი ხმის უფლება შეზღუდული იყო.

ქართული კლინიკური მედიცინის რეფორმატორი

80 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, სააკადემიო კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელსა და მის ხელმძღვანელს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას.

მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე (1968 წ.) მუშაობა დაიწყო ქ. ზუგდიდის პოლიკლინიკაში ქირურგის თანამდებობაზე.

1969-1991 წლებში იგი ქალაქ მოსკოვის ა.ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ თანამშრომლის, შემდეგ კი კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობებზე ინიშნება.

1991 წელს, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მან დააარსა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და გარდაცვალებამდე იყო მისი დირექტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი. აღნიშნული ინსტიტუტი, რომელიც დღეს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელს ატარებს, ქვეყნის სამედიცინო ცენტრთა შორის უპირობო ლიდერადაა აღიარებული. კლინიკა უპრეცედენტოა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მუდმივად განახლებადი უახლესი სამედიცინო აპარატურით, რისი ნათელი მაგალითიცაა თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის – მაღალი ენერგიის სხივური ამაჩქარებლის დანადგარის ეფექტური გამოყენება, რომელიც ფრიდონ თოდუას პირადი ინიციატივით ხორციელდებოდა.

ფრიდონ თოდუამ 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაცია, 1987 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სრულყოფაში. ბატონმა ფრიდონმა პირველმა შეიმუშავა „უსისხლო“ თერაპიული მანიპულაციები სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისთვის და დანერგა ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები კომპიუტერული ტომოგრაფიის და ულტრაბგერითი სკანირების კონტროლით, მათ შორის, ღვიძლის აბსცესის, კისტებისა და პანკრეასის ფსევდოკისტების გარეგანი დრენირების მეთოდი, შემდგომ მათში მასკლეროზილებელი ნივთიერებების შეყვანით. მან ერთ-ერთმა პირველმა მსოფლიოში გამოიყენა კომპიუტერულ-ტომოგრაფიული არტერიოგრაფია ღვიძლის მეტასტაზურ დაზიანებათა ადრეული გამოვლენისათვის და სხვ. იგი იყო საქართველოში რადიოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი. მის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა დასაბამი მისცა რადიოლოგიისა და ქირურგიის ახალი, პერსპექტიული მიმართულების განვითარებას.

ფრიდონ თოდუას სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის ნამდვილი აღიარებაა 1997 წელს მისი არჩევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2001 წელს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად.

2004-2013 წლებში იგი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად, 2009 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მედიცინის განყოფილების, ხოლო 2013 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა – 80

„თოდუას კლინიკა“, როგორც ადრე, ასევე დღესაც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ბატონი ფრიდონის კოლეგების, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების მიმართ.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა არჩეული იყო ავსტრიის ქ. გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, რუსეთის სამედიცინო ტექნიკური მეცნიერების აკადემიის ნამდვილ წევრად, აზერბაიჯანის ქ. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, მრავალი ასოციაციის, საზოგადოების, ფედერაციის და სხვადასხვა საბჭოს წევრად, მათ შორის, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტად და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, მინიჭებული აქვს დავით აღმაშენებელის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორის წოდება.

იგი იყო ჟურნალ „რენდგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ და „საქართველოს სამედიცინო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მან შექმნა 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და გამოსცა 10 მონოგრაფია. მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე.

საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა სამედიცინო და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი სპეციალობაში „სამედიცინო რადიოლოგია და რენდგენოლოგია“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ფასდაუდებელი იყო ფრიდონ თოდუას თავდადებული მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მისი მოწაფეები, წარმატებული სპეციალისტები და მეცნიერები დღეს სათავეში უდგანან კვლევით დაწესებულებებს, კლინიკებსა და საუნივერსიტეტო კათედრებს. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული იყო მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო 200-ზე მეტი საერთაშორისო-სამეცნიერო ფორუმის მონაწილე. მისი შრომები სამართლიანად იმსახურებენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების უმაღლეს შეფასებას.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა იყო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის, ბრწყინვალების, ღირსების ორდენებისა და მრავალი საერთაშორისო მედლების კავალერი. 2014 წელს გადაეცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – „წმინდა გიორგის ოქროს მედალი“, დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის და გრიგოლ მუხაძის სახელობითი პრემიები.

1998 წელს ფრიდონ თოდუა აირჩიეს ქ. თბილისის, ხოლო 2016 წელს ქ.ზუგდიდის საპატიო მოქალაქედ.

2008-2012 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, მისი თაოსნობით მრავალი პრობლემა იქნა გადაჭრილი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა მიეკუთვნებოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, ვინც მის მიერ გაკეთებული საქმეების, პიროვნული თვისებების, ქველმოქმედებისა და მრავალი სხვა ღირსების გამო არასდროს დაავიწყდებათ მეგობრებს, ახლობლებს, კოლეგებს, მოწაფეებსა და ყველას, ვისაც კი მასთან ოდესმე ურთიერთობა ჰქონია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ადამიანთა უგუნურებას არა აქვს საზღვარი

ფონდი „ქართუს“ განცხადება

(მეორე ბოერდიდან) მსგავსი კრიტიკა არახალია. გავაკეთოთ პატარა ისტორიული ექსკურსი და გავიხსენოთ არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი, მაგრამ უკვე დავიწყებული ამბები – დაახლოებით 2008 წელს პირველად დაიწყო მსგავსი პიარშეტევა ბიძინა ივანიშვილსა და ფონდ „ქართუზე“. მაშინდელ გაზეთებში დაიბეჭდა შალვა ნათელაშვილის სტატიები, უფრო სწორად კი მოკლე პასკვილები სათაურით: „ამიტომაც ეს პიროვნება (ივანიშვილი) არის საქართველოს მტერი“.

ამ სულელური ტექსტების მოკლე შინაარსი გულისხმობდა იმას, რომ, საქველმოქმედო პროექტების მეშვეობით, ივანიშვილი ეხმარება არა ქვეყანას, არამედ „სააკაშვილის რეჟიმს“, ხოლო იქამდე კი მისი შექმნილი იყო „შევარდნაძის რეჟიმი“, ამიტომაც მისი ქველმოქმედება ცხადდებოდა ბოროტებად.

2011 წლიდან, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, ნათელაშვილის ეს ნარატივი გადაიღო მაშინდელმა მმართველმა გუნდმა და დაიწყო წარმოუდგენელი მასშტაბის შეტევა და ზეწოლა როგორც თავად ივანიშვილზე, ისე „ქართუს“ ყველა სტრუქტურაზე, რომელთა ბირთვს, ბუნებრივია, ფონდი „ქართუ“ წარმოადგენდა. სწორედ მაშინ ლამის კატეგორიულ იმპერატივში აიყვანეს პროპაგანდისტული ნარატივი იმის თაობაზე, რომ „ქველმოქმედება ბოროტებაა“, საზიანოდ გამოცხადდა ფონდის ყველა პროექტი და პროგრამა. გაასაჯაროვეს ბენეფიციართა სიები, სისულელედ შერაცხეს თეატრებისა და მუზეუმების რემონტი, უსარგებლო და მავნე უწოდეს ფონდის მიერ აგებულ, გარემონტებულ და სახელმწიფოსთვის გადაცემულ ობიექტებს, მათ შორის, საავადმყოფოებს, რაგბის სტადიონებს, სკოლებს, თეატრებს, მუზეუმებს, შეკვეთილის ღია საკონცერტო დარბაზს, თბილისის ოპერას, ბათუმის დელფინარიუმს და მრავალ სხვას.

საგულისხმო და სახალისოა, რომ ზემოხსენებული ბატონი ნათელაშვილი, რომელმაც აწ უკვე სააკაშვილის მომხრეთა ბანაკში ამოყო თავი, დღეს ამ პოზიციებიდან აგრძელებს არანაკლები აბსურდულობისა და კომიკური ხასიათის ბრალდებების სროლას ივანიშვილისა და „ქართუს“ მიმართ. **გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური სატირისა და კომედიის ჟანრში ის განუმეორებელია.** როგორც ჩანს, ამ მართული და ერთიანი გეგმით ორკესტრირებული ბინძური კამპანიის დამკვეთებიც სათანადოდ უფასებენ მას ამ „ნიჭს“.

არსებობს ცნობილი გამონათქვამი, რომ „ადამიანთა უგუნურებას არა აქვს საზღვარი“, რომელსაც სხვადასხვა რედაქციით რამდენიმე ცნობილ მოღვაწეს მიაწერენ. ჩვენს შემთხვევაში, შეიძლება, ითქვას, რომ ნათელაშვილის განცხადებების სისულელესა და აბსურდს ნამდვილად არა აქვს არანაირი ზღვარი!

კარგად გვესმის, რომ ამ ყველაფრის უკან პოლიტიკურად ანგაჟირებული დაინტერესებული პირებისა და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების კონკრეტული დაჯგუფება დგას, რომელიც რჩება რა ჩრდილში, წარმოადგენს ამ ხელოვნურად მართული პროცესის მთავარ დამკვეთსა და დირიჟორს“!

ომის დამნაშავეებმა მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი!

ხელისუფლებამ სახელმწიფოს და ჯარის ინტერესები ეფექტიანად დაიცვა, ახლა გვაქვს შესაძლებლობა, გავარკვიოთ, მოხდა თუ არა ის, რაზეც „ნაცმოძრაობა“ და სალომე ზურაბიშვილი შეთანხმებულები არიან – რომ 2008 წელს ომი სააკაშვილმა დაიწყო, – ამის შესახებ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებაშია აღნიშნული.

„ხალხის ძალის“ განცხადებით, ყველაფერს გააკეთებენ, რათა სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2008 წელს ჩადენილი დანაშაული არჩევნების შემდეგ სრულფასოვნად გამოიძიონ და დამნაშავეებმა კონსტიტუციის ფარგლებში, კანონის მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი.

„ზელენსკის მიერ შექმნილი სანქციების ჯგუფის კოორდინატორს, მაიკლ მაკფოლს ინტერვიუში ათქმევინეს, საქართველო, რომელიც 2008 წელს მოწინავე ქვეყანა იყო, ნატოსკენ მიმავალ გზაზე უკრაინას ჩამორჩაო.

ლოგიკურად უნდა დავსვათ კითხვა, რით უსწრებს უკრაინა საქართველოს დღეს, რითაც საქართველო უკრაინას 2008 წელს უსწრებდა. იმედი გვაქვს, მაკფოლი ადამიანების წამება-გაუპატიურებას, ელიტურ კორუფციას, ბიზნესის რეკეტს და ტელევიზიების მიტაცებას არ გულისხმობდა, რითაც სააკაშვილის რეჟიმი იუშჩენკოს ხელისუფლებას ნამდვილად დიდი უპირატესობით უსწრებდა და რითაც ახლა ზელენსკის ხელისუფლებამ ლამის სააკაშვილის რეჟიმიც უკან ჩამოიტოვა.

რჩება ერთადერთი კრიტერიუმი, რომელსაც მაკფოლი 2008 წელს საქართველოს მოწინავეობაში შეიძლება გულისხმობდეს. 2008 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ვერ აიცილა ომი და იომა, ახლა კი ამას ზელენსკის ხელისუფლება აკეთებს. ანუ პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ ნატოზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგველაპარაკებიან, თუ ვიომებთ. ისიც დაგველაპარაკებიან, თორემ ნატოში ახლად ნაომარ ქვეყანას რომ არავინ მიიღებს, ამას 2008 წლის ქართული გამოცდილებაც მოწმობს.

ღმერთმა ქნას, უკრაინამ აღიდგინოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. თუმცა, ჩვენი მეგობარი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა აშკარად უმძიმესია. დაღუპულია ათეულობით ათასი უკრაინელი, მათ შორის ასეულობით ბავშვი, მოსახლეობის მეოთხედი დევნილად ან ლტოლვილად არის ქცეული, უკრაინის ეკონომიკა 30 პროცენტით შემცირდა, განადგურებულია ინფრასტრუქტურა, რუსეთს დღეს ორნახევარჯერ მეტი ტერიტორია აქვს ოკუპირებული, ვიდრე ომის დაწყებამდე ჰქონდა, ქვეყანაში ყვავის კორუფცია, მიმდინარეობს მედიისა და ბიზნესის მიტაცება და მონოპოლიზაცია. რომც დავუშვათ, რომ 2-3 წელიწადში უკრაინას ნატოში მიიღებენ, საკითხავია, ამ ყველაფრის ფონზე, შეიძლება თუ არა ნატოს წევრობა იყოს რაიმე ხელშესახები მორალური თუ პრაქტიკული ნუგეშის მომტანი უკრაინელი ხალხისთვის.

მაკფოლის მინიშნება კიდევ უფრო გვიმყარებს რწმენას, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ძირფესვიან გამოძიებას საჭიროებს. რადგან ომთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები დასრულებულია და საქართველოს ხელისუფლებამ ქართული სახელმწიფოს და ჯარის ინტერესები ორივე სასამართლოში ეფექტიანად დაიცვა, ახლა უკვე გვაქვს სრული შესაძლებლობა, დაწვრილებით გავარკვიოთ, მოხდა თუ არა ის, რაზეც ნაცმოძრაობა და სალომე ზურაბიშვილი უკვე შეთანხმებულები არიან – რომ 2008 წელს ომი სააკაშვილმა დაიწყო.

ამის მიღმა, ისიც გასარკვევია, თუ რატომ აკურთხეს 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილი „ცივილიზებული სამყაროს ლიდერად“ უცხოელმა მფარველებმა ზუსტად ისევე, როგორც ეს 2022 წელს ზელენსკის მიმართ გაიმეორეს. გასარკვევია, ხომ არ შეასრულა მაშინ სააკაშვილმა იმ ადამიანების დაკვეთა, რომელთაგანაც მან ეს „მაღალი“ ტიტული დაიმსახურა.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2008 წელს ჩადენილი დანაშაული არჩევნების შემდეგ სრულფასოვნად გამოვიძიოთ და დამნაშავეებმა კონსტიტუციის ფარგლებში, კანონის მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი“!

ოთხ წელიწადში ახალი რესპუბლიკური საავადმყოფო გვექნება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით 22 იანვარს მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 4 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხებს შორის იყო საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ახალ პროექტთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“.

როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერმა აღნიშნა, სპეციალისტების დასკვნით, იმისთვის, რომ კლინიკამ საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილოს, შენობის რეკონსტრუქცია ძირითად შემთხვევაში შეუძლებელი და არარენტაბელურია, შესაბამისად, იგეგმება ძველი შენობის დემონტაჟი და რესპუბლიკური საავადმყოფოს გაზაზე აშენდება მრავალპროფილური, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დაწესებულება, ახალი რესპუბლიკური საავადმყოფო.

* * *

თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე ახალი, თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების სახელმწიფო კლინიკა აშენდება. მრავალპროფილური, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დაწესებულება ყველა ძირითად სამედიცინო მიმართულებას დაფარავს.

ჯანდაცვის სამინისტრო შენობის სადემონტაჟო პროექტისა და კლინიკის საპროექტო სამუშაოების შესყიდვის პროცედურებს იწყებს. საპროექტო სამუშაოების შესყიდვები მსოფლიო ბანკის პროცედურების სრული დაცვით განხორციელდება, რაც საერთაშორისო კომპანიებს პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს.

ახალი რესპუბლიკური საავადმყოფო მულტიფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების სახელმწიფო კლინიკა 500-ზე მეტ საწოლზე იქნება გათვლილი. ამასთან, მოეწყობა ამბულატორია და 100-ზე მეტ საწოლზე გათვლილი დღის სტაციონარი. კლინიკაში განთავსდება ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიური ცენტრი; გაიხსნება თანამედროვე სტანდარტების ცენტრალური სისხლის ბანკი; ტერიტორიაზე მოეწყობა GDP სტანდარტის აფთიაქი, სასწავლო სივრცეები, სამედიცინო ბიბლიოთეკა, ტელემედიცინის სივრცეები და სხვა. ასევე რესპუბლიკური საავადმყოფო შეინარჩუნებს საუნივერსიტეტო კლინიკის სტატუსს, რაც კლინიკურ აქტივობებში მომავალი მედიკოსების სრულ ინტეგრაციასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ კლინიკაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის უფლებები სრულიად დაცული იქნება. თანამშრომელთა ნაწილი, ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობით, სხვადასხვა სახელმწიფო კლინიკაში უკვე დასაქმდა, ნაწილისთვის კი სპეციალური ანაზღაურების პაკეტი მომზადდა, რაც კლინიკის თითოეული თანამშრომლისთვის იქნება შეთავაზებული. პროცესს უშუალო მეთვალყურეობას გაუწევს შრომის ინსპექციის სამსახური.

ეს ის შემთხვევაა, როცა აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა დავუჯეროთ!

თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლების გუშინდელ პროცესთან დაკავშირებით აღსრულების ეროვნული ბიურო განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, გამოსახლების პროცესი კანონის სრული დაცვით ხორციელდება.

„2024 წლის 23 იანვრის 11:00 საათიდან აღსრულების პოლიცია, სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ახორციელებს გამოსახლების პროცესს თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე. ადგილზე მობილიზებულნი არიან მოვალის მხარდამჭერები, რომლებიც ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევენ აღსრულების პოლიციას.

ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აღსრულების პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა გაზის გამოყენებას, წარმოადგენს სიცრუეს. პირიქით, ბინაში მყოფმა ადამიანებმა, პროცესის ხელშეშლის მიზნით, სამაშველო სამსახურისა და აღსრულების პოლიციის მიმართ გამოიყენეს სავარაუდოდ წიწაკის სპრეი, რა დროსაც დაშავდა რამდენიმე პოლიციელი. ასევე, მათ მიაყენეს აღსრულების პოლიციელებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. სხეულის დაზიანება მიიღეს აღსრულების პოლიციის თანამშრომლებმა, ასევე დაზიანდა სახელმწიფო ქონება.

აღნიშნული გამოსახლების პროცესი აღსრულების პოლიციის მიერ ექვსი წლის განმავლობაში ხუთჯერ გადაიდო. ამ დროის განმავლობაში აღსრულების ეროვნულმა ბიურომ საქმის მორიგებით დასრულების მიზნით, გაატარა ყველა ღონისძიება, აქტიურად მიმდინარეობდა მხარეებს შორის მოლაპარაკებები, სადაც კრედიტორი მოვალეს სთავაზობდა ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართს, რაზედაც მოვალემ განაცხადა უარი.

აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსახლების პროცესს ახორციელებს კანონის სრული დაცვით. მოვუწოდებთ მოქალაქეებს, დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს“!

წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი

აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე 70 წლისაა

აგრარული დარგის ახალგაზრდა თაობის მეცნიერ-მკვლევართა აღმზრდელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და ამავე აკადემიის აკადემიკოსს, სხვადასხვა საზოგადოებრივი აკადემიის წევრს რეზო პაბნიძეს 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

1970 წელს წარმატებით დაამთავრა მახინჯაურის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. სტუდენტობის პერიოდში დიდი ნიჭი და მიდრეკილება გამოამჟღავნა აგრარულ სფეროში, ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით სწავლა განაგრძო ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის ხელმძღვანელობით. შედეგად, 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს – სადოქტორო დისერტაციები. 1996 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის მოღვაწეობა შეიძლება ორ მიმართულებად დაიყოს: ესაა სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-სამეურნეო. ის წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე.

ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, საიდანაც დააწინაურეს აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო შემდეგ, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

1994 წლიდან დაინიშნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ახლად დაარსებული ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად, სადაც მან ათი წელი იმუშავა. მისმა გამორჩეულმა შრომისმოყვარეობამ, აქტუალური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის უნარმა, სტუდენტთა და ასპირანტთა სწავლა-აღზრდაში მიღწეულმა მაღალმა შედეგებმა ჩააყენა იგი საქართველოს წამყვან აგრარულ მეცნიერ-პედაგოგთა რიგებში და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მეცნიერის ნაშრომ-ნაღვაწი გამოქვეყნებულია 247 სამეცნიერო ნაშრომში, 18 რეკომენდაციას, 8 მონოგრაფიასა და ხუთ სახელმძღვანელოში: „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია“, „ჩაი და ციტრუსები“, „სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია“, „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“, „სუბტროპიკული კულტურები“, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი განათლების აგრარული დარგის სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისთვის, ასევე სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტებისა და ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის. ნაშრომთა ნაწილი გამოცემულია უცხოეთშიც. არის 18 სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი. 2012-2019 წლებში ბათუმის უნივერსიტეტში, ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე არჩეული იყო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს მიზანმიმართული მუშაობის შედეგია ის, რომ ამ ხნის განმავლობაში 24 დოქტორანტს მიენიჭა აგრარულ დარგში აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რომელთა შორის აჭარის ისტორიაში პირველად, 16 ქალბატონია.

რეზო ჯაბნიძე დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მეცნიერთა სწავლა-აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით 9 დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია, ხოლო 42-მა – საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი. არის ხუთი სამეცნიერო საერთაშორისო გამოცემის, ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი. არჩეულია სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად. რამდენჯერმე მიწვეული იყო საზღვარგარეთ საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების შემფასებლად (ოპონენტად).

არაერთხელ მიიღო მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო კონგრესებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, მისი მეცნიერული შრომები კონკრეტული მასალითაა არგუმენტირებული და ლოგიკურად დასაბუთებული. მათში, ასევე იგრძნობა ავტორის პრინციპულობა, ობიექტური მიდგომა აქტუალური საკითხებისადმი, რომელიც აკადემიურობის ფარგლებს არასოდეს სცილდება.

აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდაა დაფასებული. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლებით; 2019 წელს მისი ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოს „სუბტროპიკული კულტურები“, მიენიჭა სსმმ აკადემიის პრემია აგრარულ დარგში საუკეთესო საგანმანათლებლო ნაშრომისათვის, ხოლო 2020 წელს სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი აგრარულ დარგში მიღწეული წარმატებებისთვის. ასევე დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი და უმაღლესი საბჭოს სიგელებით. არის საპატიო ბათუმელი და ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ბატონი რეზო კვლავ აგრძელებს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. ის არის შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულთბილად ულოცავს მას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს მშობლიური ქვეყნის, ქართული აგრარული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დიდ ქალაქებში გრძელდება გამონაბოლქვის კონტროლი!

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, 2023 წლის 4 სექტემბრიდან, საქართველოს 4 დიდ ქალაქში – თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლს ახორციელებენ.

კანონის ამოქმედებიდან დღემდე, დეპარტამენტის მოძრავი ეკიპაჟების მიერ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ჯამში 3243 იურიდიული და ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყველაზე მეტი – 1502 ჯარიმა დაწერეს თბილისში მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების/მფლობელების სახელზე; 707 სამართალდარღვევა დაფიქსირდა ქუთაისში, 564 – ბათუმში, 470 კი, ქალაქ რუსთავში.

3243 საჯარიმო ქვითრიდან 2785 ქვითარი ფიზიკური პირის სახელზე დაიწერა; 458 შემთხვევაში კი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იურიდიული პირები დააჯარიმეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1893 საჯარიმო ქვითარი მსუბუქი ავტომობილების მძღოლების მიმართ არის შედგენილი, 1164 – მიკროავტობუსის, 185 – სატვირთო ავტომობილის, 1 კი, ავტობუსის მძღოლის სახელზე.



ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ფიზიკური პირის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა პირველ ჯერზე 100 ლარია, მეორე ჯერზე – 300 ლარი, მესამე ჯერზე – 600 ლარი. იურიდიული პირის შემთხვევაში კი, ჯარიმა 500, 1500 და 3000 ლარია. ჯარიმის 10 დღის ვადაში გადახდის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს ჯარიმის ოდენობა 20%-ით შეუმცირდება.

ფერმერთათვის გენეტიკურად სუფთა სათესლე და სარგავი მასალა...

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2015 წლიდან, თესლის, 2017 წლიდან კი, სარგავი მასალის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების პროცესს ახორციელებს. 2023 წელს, სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურმა, განაცხადის საფუძველზე, სათესლე და სარგავი მასალის 27 მწარმოებელი კომპანია შეამოწმა, რომელთაგანაც 8 სერტიფიცირების პროცესში ჩაერთო, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, მხოლოდ კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრში რეგისტრირებული სანერგე მეურნეობა არის უფლებამოსილი, საკუთარი სტანდარტული კატეგორიის ნერგის (CAC სტანდარტის) შესაბამისი პროდუქცია განათავსოს ბაზარზე.

კანონის თანახმად, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მინიმუმ წელიწადში ერთხელ ახორციელებს კვალიფიციური სანერგე მეურნეობის ინსპექტირებას. 2023 წელს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, 49 სანერგე მეურნეობის დოკუმენტური და ფიტოსანიტარიული მდგომარეობა შემოწმდა. სათესლე მასალის 6 მწარმოებლის სასაწყობე მეურნეობაში ჩატარდა სათესლე მასალის საანალიზო ნიმუშების აღება; სარეალიზაციო სათესლე მასალიდან აღებულ 46 ნიმუშს ჩაუტარდა ლაბორატორიული ანალიზი.

სათესლე და სანერგე მასალაზე ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღების მიზანი ჯიშური და გენეტიკური სიწმინდის შენარჩუნება, ფერმერისთვის გენეტიკურად სუფთა სათესლე და სარგავი მასალის მიწოდება და მაღალხარისხიანი მოსავლის მიღების გარანტიაა. ამავე დროს, სერტიფიცირებული სისტემის შემოღება ბაზარს ფალსიფიცირებული პროდუქციისგან დაიცავს.

სართიჭალაში ევროპული სტანდარტების მქონე სტადიონი შენდება



ახალი, 530 მაყურებელზე გათვლილი სტადიონი ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი დოხტურიშვილმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერთან, დავით კარგარეთელთან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ლევან კობიაშვილთან ერთად მოინახულა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების მქონე მოედანი, ტრიბუნა, განათების სისტემა, საპარკინგე სივრცე, დაიგო საფარი, თითქმის დასრულებულია ბაზის მშენებლობაც. მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე შენდება ფიზმომზადების ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტსმენების შესაძლებლობების სწორ განვითარებას და მათ პროფესიონალ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებას. სტადიონი სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ინვენტარით. სპორტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 3 000 000 ლარამდე შეადგინა.

ნარკომაფია 18-მილიონიან ეკვადორს აზანზარებს!

სამხრეთ-ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყნის ეკვადორის ნარკომაფიისა და Los-Choneros კრიმინალური სინდიკატის ბოსი ხოსე-ადოლფო-მასიასი, მეტსახელად, Fito, ციხიდან გაუჩინარდა. მას მკვლელობისა და ნარკო-ტრეფიკინგის გამო, 34-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ქვეყანაში საგანგებო სამძებრო ოპერაცია გამოცხადა, რომლისთვისაც ნარკომაფია მზად აღმოჩნდა. მათ ეკვადორის ქალაქებს გაწვრთნილი მებრძოლები შეუსიეს და ქვეყანაში ქაოსი შექმნეს. ქალაქ გუაკილში, ერთ-ერთ ტელევიზიაში, პირდაპირ ეთერში გადაცემის დროს შევარდნენ, და წამყვანები და ოპერატორები მძევლად აიყვანეს. მაფიამ სამართალდამცავ სტრუქტურებზეც მიიტანა შეტევა. ქუჩებში მებრძოლები გაიმართა. მაფიამ პოლიციელების მძევლად აყვანა სცადა. მთელი ქვეყანა ნარკომაფიასა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის მებრძოლის ველად იქცა.

ვითარების დასამშვიდებლად ეკვადორის პრეზიდენტმა ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. ეკვადორის არმიამ სამართალდამცავი ფუნქციები აიღო ხელში. პრეზიდენტმა ეკვადორის მოსახლეობას სიმშვიდისა და სამხედრო ძალის მორჩილებისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ქვეყანა მაფიოზურ ტერორისტულ დაჯგუფებებთან საომარ მდგომარეობაშია. ეკვადორის არმიამ, ამჯერად, შეძლო მდგომარეობის გაწონასწორება. გათავისუფლდა ბევრი მძევალი. ვითარება ქალაქებში, შედარებით, დამშვიდდა. არიან დაჭრილი მებრძოლები. ამავე დროს, მოსალოდნელია მაფიის შეტევის მეორე ტალღა.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, ეკვადორის მაფიას 20 ათასამდე კარგად გაწვრთნილი მებრძოლი ჰყავს. ეკვადორში განვითარებულმა ამბებმა მთელი ლათინური ამერიკა და დასავლეთი საგონებელში ჩააგდო. ინციდენტმა აჩვენა, რომ სახელმწიფო, შეიძლება, უძლური აღმოჩნდეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეკვადორში განვითარებული ეს უცნაური ამბავი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, გამართული და აყვავებული ქვეყანა მაფიის ხელში აღმოჩნდეს.

18-მილიონიანი ეკვადორი კოლუმბიისა და პერუს მეზობელია, რომელიც ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო სახელმწიფოდ ითვლებოდა. მის მეზობელ ქვეყნებს კი, ათწლეულები აქვთ გატარებული ნარკომაფიასთან ბრძოლაში. ცნობილია, რომ კოლუმბია და პერუ კოკაინის მთავარი იმპორტიორები არიან მსოფლიოში. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, შეერთებულმა შტატებმა მრავალი პროგრამა განახორციელა ამ ქვეყნების დასახმარებლად, რომელიც ფინანსებით, სამხედრო ტექნიკითა და ინსტრუქტორებით დახმარებას უზრუნველყოფდა. პროგრამების განხორციელებამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

კოლუმბიამ და პერუმ ნარკომაფიასთან ომის მოგება შესძლეს, მაგრამ მაფია, როგორც ყოველთვის, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მან მხოლოდ მოქმედების გეოგრაფიული არეალი შეცვალა: ეკვადორსა და მექსიკაში გადაინაცვლა. მექსიკის ხელისუფლება უშედეგოდ ებრძვის მაფიას. ქვეყანაში გაჩნდა რეგიონები, სადაც სახელმწიფო მდგომარეობას ვერ აკონტროლებს.

მექსიკის პრეზიდენტმა ეს, უკვე, ოფიციალურად განაცხადა, აღიარა რა იქ გაბატონებული ნარკომაფია რეალურ ხელისუფლებად. ეკვადორის მთავრობამ კი, უკომპრომისო ომი გამოუცხადა მაფიას. ამიტომაც იქცა ქვეყანა ნამდვილ ბრძოლის ველად. ეკვადორი, დღეს, მკვლელობათა რაოდენობით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა, და მაფია კიდევ უფრო ძლიერდება. მას სხვა ქვეყნების, ალბანეთისა და მექსიკის, მაფიებიც ეხმარება. ეკვადორი ევროპისა და შეერთებული შტატებისთვის კოკაინის მთავარ მიმწოდებლად იქცა. შარშან, მაფიამ ორი ცნობილი პოლიტიკოსი და საპრეზიდენტო არჩევნების მთავარი კანდიდატი იმსხვერპლა. ახალმა პრეზიდენტმა მაფიის შეკავება გადაწყვიტა, თუმცა, არავინ უწყის, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი რამ კი, ნამდვილად უტყუარია:

ეკვადორის ხელისუფლება მარტო ვერ შესძლებს მაფიასთან ჭიდილს. მხოლოდ სხვა ქვეყნების დახმარებით თუ მოახერხებს კრიმინალის დამარცხებას. ვარაუდობენ, რომ, აქ, როგორც კოლუმბიაში, ამერიკამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი, რადგან, მხოლოდ მას ძალუძს მაფიის დაჩოქება.

მამათმავლები და პედერასტები საფრანგეთის მართავენ!

სახელმწიფო კრიზისის თავიდან ასარიდებლად, საფრანგეთის პრეზიდენტმა, პრემიერის ჩათვლით, მინისტრთა კაბინეტი შეცვალა. 2022 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მაკრონმა პრემიერ-მინისტრად ავტორიტეტული პოლიტიკოსი, ელისაბედ ბორნი დანიშნა, რომლის რეფორმებმა ქვეყანაში საპროტესტო ტალღა გამოიწვია. მან ჯერ საპენსიო ასაკი ასწია და სოც-დახმარება შეკვეცა, მერე, საიმიგრაციო კანონი გაამკაცრა, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა თავად მაკრონის გუნდში. მმართველ პარტიას გახლეჩის საშიშროება დაემუქრა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ, პარლამენტის მიერ ამ კანონის მისაღებად, ლე-პენის ულტრა-მემარჯვენე პარტიას სთხოვა დახმარება. პრეზიდენტი მაკრონი იძულებული გახდა, ფაქტზე რეაგირება მოეხდინა და, შედეგად, ქალბატონი პრემიერი აქცია განტევების ვაცად.

მაკრონმა, ჩიხიდან თავის დასაღწევად და ლიბერალთა საამებლად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ბორნის კაბინეტის განათლების მინისტრი, 34-წლის გაბრიელ-ატალი დანიშნა. ამ ყველაზე ახალგაზრდა ფრანგი პრემიერის დანიშვნის თაობაზე, მთელმა მსოფლიომ დაიწყო მარჩიელობა, ვინ არის და რატომ შეჩერდა სწორედ მასზე პრეზიდენტის არჩევანი.

გაბრიელ ატალი ერთობ პოპულარული პოლიტიკოსია და საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს. პრეზიდენტ მაკრონთან პოლიტიკური მსგავსების გამო, მას საფრანგეთში მინი-მაკრონს ეძახიან. ის საფრანგეთის ისტორიაში პირველი დაუფარავად მამათმავალი პრემიერ-მინისტრია. თავადაც და ლიბერალური ფრთაც ამით დიდად ამაყობს. გაბრიელის მამა ებრაული წარმოშობის ტუნისელი იურისტი და კინოპროდიუსერი, 2015 წელს გარდაიცვალა. დედა, წარმოშობით, ბერძენი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. მშობლებმა გაბრიელ-ატალი მართლმადიდებელ ქრისტიანად გაზარდეს, მაგრამ თავად ატალი ამბობს, რომ ნახევრად ებრაელია. ერთ-ერთ ინტერვიუში, მან მამის სიტყვები გაიხსენა, მართლმადიდებელი კი ხარ, მაგრამ მთელი ცხოვრება ებრაელადაც იგრძნობ თავსო. გაბრიელ-ატალი, იდეურად, მაკრონის ასლია. არცერთ პარტიასთან არ ყოფილა ახლოს. ატალს, როგორც მაკრონს, ტექნოკრატად მოიხსენიებენ. პოლიტიკური კარიერის დასაწყისში, ჯერ სოციალისტებთან იყო, მერე მაკრონის ბანაკში გადავიდა. მაკრონიც და ატალიც ლიბერალური და კონსერვატული იდეების შერწყმის მომხრენი არიან. მთავარია, იდეა იყოს წარმატებული.

განათლების მინისტრობისას, ატალი საფრანგეთის სკოლებში ჩადრის ტარების აკრძალვას უჭერდა მხარს. მის პრემიერ-მინისტრად დანიშვნით, მაკრონი ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს: ლიბერალური ბანაკისთვის კოჭის გაგორებას და ულტრა-მემარჯვენე პარტიისთვის კონკურენციის გაწევას. სოციალური გამოკითხვების მიხედვით, საფრანგეთში, დღესდღეობით, ლე-პენის პარტია ლიდერობს. ევროპის საპარლამენტო არჩევნები კი, კარსაა მომდგარი. საფრანგეთის ახალი პრემიერ-მინისტრი დიდი გამოწვევების წინაშე დგას. პრეზიდენტი მისგან არჩევნების მოგებას ითხოვს. გაბრიელ-ატალი კი, პირველივე დღიდან სკანდალშია: მან, საგარეო საქმეთა მინისტრად, გამოცდილი პოლიტიკოსი სტეფან-სეჟორნე დანიშნა, რომელიც მისი აღიარებული სექსუალური პარტნიორია. ფაქტმა ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია გაბრიელ-ატალის მიმართ. ის ნეპოტიზმში დაადანაშაულეს. ნეპოტიზმში! გაბრიელ-ატალი კი, თავს იმით იმართლებს, რომ ის ბატონ სეჟორნეს გასული წლის ოქტომბერში დაშორდა. აი, ასე!..

ნუგზარ (ბ) რუხაძე POSTV

ისრაელს ჩვენი ომში ჩართვა ძვირი დაუჯდება

„თქვენ იცით, ჰეზბოლას უფრო მეტი საშუალება აქვს, ვიდრე „ჰამასს“ და ამიტომ ვამბობ, რომ ეს ძალიან რთული იქნება. ამას ყველასთვის ძვირი საფასური ექნება. რა თქმა უნდა, ისრაელს ჰყავს საჰაერო ძალები და მათ შეუძლიათ დომინირება ჰაერზე და ხმელეთზეც, მაგრამ მთლიანობაში, ეს ყველასთვის საზიანო იქნება. ვწუხვართ, რომ ომში გვიბიძგებენ, მაგრამ ისრაელელებმა იციან, რომ ეს არ იქნება „პიკნიკი“, – აღნიშნა ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლმა აბდულა ბუ ჰაბიბიმ.

მედიის ცნობით, ისრაელ-ლიბანის საზღვარზე დაძაბული ვითარების გამო, იზრდება შეშფოთება, რომ ლიბანი შესაძლოა, ჩაითრიონ რეგიონულ კონფლიქტში.

ერთ დღეში 24 სამხედრო დაიღუპა... ეს დიდი მაჩვენებელია

გასულ დღეს ღაზის სექტორში 24 ისრაელელი სამხედრო დაიღუპა, რაც ომის დაწყებიდან ერთი დღისთვის ყველაზე მაღალი რაოდენობაა.

21 სამხედრო აფეთქების შედეგად დაიღუპა. როგორც „ცაჰალის“ პრესსპიკერმა დანიელ ჰაგარიმ განმარტა, „ჰამასის“ მებრძოლებმა ტანკს ჭურვი ესროლეს, ამავდროულად 2 შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა, რომლებიც სამხედროებმა მათი დემონტაჟის მიზნით დაამონტაჟეს. შენობები სამხედროებს თავზე ჩამოენგრათ.

„მომხდარის დეტალებზე გამოძიებაა დაწყებული, რომელმაც აფეთქების მიზეზი უნდა დაადგინოს“, – განაცხადა ჰაგარიმ. კიდევ სამი სამხედრო კი ღაზის სექტორის სამხრეთ ნაწილში დაიღუპა.

კლიჩკო ზელენსკის ავტოკრატიზმსა და ჟურნალისტებზე ზეწოლაში ადანაშაულებს

კანადურ გამოცემა „გლობ ენდ მეილთან“ ინტერვიუში კიევის მერი აცხადებს, რომ უკრაინა არასწორი მიმართულებით მიდის და სულ უფრო ავტოკარტული ხდება.

კლიჩკოს თქმით, ბოლო 23 თვის განმავლობაში უკრაინის მთავარი სატელევიზიო არხები მხოლოდ ერთ პროგრამას, „გაერთანებული ახალი ამბების ტელემარათონს“ აჩვენებენ, რაც განსხვავებული მოსაზრებებისთვის მცირე სივრცეს ტოვებს.

კიევის მერის განცხადებით, უკრაინის პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან.

ამასთან, კლიჩკოს თქმით, თავისუფლებები და რეფორმები, რისთვისაც უკრაინელები ორი რევოლუციის დროს იბრძოდნენ, ქვეყანაში გაუქმებულია.

სლოვაკეთის პრემიერი: უკრაინამ ტერიტორიები უნდა დათმოს!

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა, რობერტ ფიცომ განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის ომის დასასრულებლად კიევს საკუთარი ტერიტორიების დათმობა მოუწევს. ამის შესახებ Politico წერს.

„რაღაც კომპრომისი უნდა არსებობდეს. რას ელოდებოდნენ, რომ რუსეთი დატოვებს ყირიმს, დონბასსა და ლუგანსკს? ეს არარეალისტურია“, – განაცხადა რობერტ ფიცომ. მან ასევე დაადასტურა, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგია.

Politico ფიცოს პრორუსს უწოდებს და აღნიშნავს, რომ გასულ კვირას მან მხარი დაუჭირა უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის გადაწყვეტილებას უკრაინისთვის 50 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების დაბლოკვის შესახებ.

„ჩიპოლინოს“ პრემიერამ მთელი სენაკი გააცოცხალა

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლი „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ დაიდგა.

პრემიერას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი ადგილობრივი ხელისუფლებისა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

„ჩიპოლინოს თავგადასავალი“ არის მუსიკალური, კოსტიუმირებული ზღაპარი ულამაზესი სიმღერებით, ცეკვებითა და კომედიური დიალოგებით, რომელშიც იტალიელი მწერლის ჯანი როდარის, გამოგონილი მთავარი გმირი – კეთილი და გულუბრყვილო ხახვი-ბიჭუნა, სახელად ჩიპოლინო, მეგობრებთან ერთად ებრძვის ბოროტმოქმედ გმირებს, იმარჯვებს და აკეთილშობილებს მათ. ზღაპარი არის შემეცნებითი ხასიათის, ბავშვებს ასწავლის მეგობრობას, ერთგულებას, სიყვარულს, განსხვავებას სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორია სენაკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი **ვახტანგ ნიკოლავა**; სცენოგრაფია და მხატვრობა ეკუთვნით **აივენგო ჭელიძეს, ემილ გეგენავასა** და **მალხაზ კორთხონჯიას**; კომპოზიტორი და სიმღერების ტექსტების ავტორია **კოტე მალანია**, ქორეოგრაფი – **გია მარღანია**, კოსტიუმების მხატვარია **სოფი ჩალაშვილი**, კოსტიუმები შეკერა **მაკა კილასონიამ**; რეჟისორის თანაშემწეა **ლალი გაბელაია**.

სპექტაკლში მონაწილეობენ: **ირაკლი ადამია, ტარიელ ზურაბაშვილი, ლადო კოკაია, ზურაგ ზურაბაშვილი, ჯამბულ ჭანტურია, ლალი გაბელაია, ელგუჯა ნოდარიძე, ეკა კოღუა, თამარ აბშილავა-კობახიძე, გიორგი მურუსიძე, ზვიად ზურაბაშვილი, რაულ კიკალეიშვილი, დიანა თურქია, ამირან მალანია და ანასტასია ზუხბაია.**

სპექტაკლში, ასევე, მონაწილეობენ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და დიმიტრი ჯაიანის სახელობის კულტურის ცენტრის ერთობლივი თეატრალური ხელოვნების სკოლა-სტუდიის აღსაზრდელები. სპექტაკლის შემდეგ კულტურის მინისტრმა მოინახულა სენაკის დრამატულ თეატრში მოქმედი მუზეუმი, რომელიც განახლდა სამინისტროს კონკურსის – „სამუზეუმო საქმიანობის ხელშეწყობა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ დრამატულ თეატრებში“ – ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტის ფარგლებში, კერძოდ, აღდგა სამუზეუმო მასალა, შეიქმნა ელექტრონული არქივი, მოეწყო საექსპოზიციო სივრცე.

კონკურსი 2023 წელს პირველად ჩატარდა და მისი მიზანია სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ დრამატულ თეატრებში არსებული მუზეუმების ფუნქციონირების გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა, ფონდების შევსება-განახლება, ექსპონატების რესტავრირება, სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის მოწესრიგება. მნიშვნელოვანია, რომ დრამატული თეატრების მუზეუმები ქმნის და ინახავს ქართული თეატრის, სარეჟისორო-სამსახიობო ხელოვნების, სცენოგრაფიის ისტორიას.

განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1.	მობილური მანქანების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ორი საშტატო ერთეული.
2.	მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
3.	თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.

კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა)	განცხადება;
ბ)	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ)	ავტობიოგრაფია (CV);
დ)	დოქტორის (მაგისტრის), ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე)	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ)	ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ)	სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ)	სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი)	პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები;
კ)	შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
	საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.
	საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 23 თებერვალი.
	დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – ბეჟან დიდებაშვილს ტ.: 593 589 040, 2 329017

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „მაქრო ქონსთრაქშენის“ მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 8 თებერვალი 12:00 საათი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობა. 2024 წლის 8 თებერვალი 15:00 საათი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყანდაურას საჯარო სკოლის შენობა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.საჯარო განხილვა დიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 12 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2024 წლის **12 იანვარს** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

კორეული გამოცდა

განგვონის (სამხრეთ კორეა) IV ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საზეიმო გაიხსნის ცერემონიალს „კანინის ოვალმა“ უმასპინძლა. აღიმართა მასპინძელი ქვეყნის დროშა, შემდეგ კი შედგა მონაწილე ქვეყანათა დელეგაციების აღლუმი. საქართველოდან დროშის ტარების პატივი ერგოთ მოციგავე ლუკა მიქაბერიძეს და ტრამპლინიდან მხტომელ ესმერალდა ალიევას. აღლუმს მოჰყვა ოლიმპიური დროშის აღმართვა და შესრულდა ოლიმპიური ჰიმნი.

ახალგაზრდა ოლიმპიელებს სიტყვით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **თომას ბახმა.** ხაზი გაუსვა თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდების როლს, ასევე მოუწოდა მათ იყვნენ პასუხისმგებლიანები: **„ახლა თქვენი დროა. თქვენ მიუყვებით მათ ნაკვალევს, ვინც შექმნა სპორტის ისტორია, ოლიმპიური მოძრაობა. მათ შორის არის პიონჩანის 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები.**

გაიღეთ საუკეთესო თქვენს პირველ ოლიმპიურ სარბიელზე. შეიძინეთ ახალი მეგობრები. პატივი ეცით საკუთარ თავს და მეტოქეს. პატივი ეცით ოლიმპიურ ღირებულებებს, წესებს.

მოხალისეებო, ახლა თქვენი მრწყინვალების დროც არის. მადლობა ყველას.

პატივცემულო ახალგაზრდებო, მონაწილეებო, სტუმრებო, მაყურებლებო. მოგმართავთ დევიზით: „სწრაფად, მაღლა, ძლიერად, ერთად.“

თომას ბახის შემდეგ კორეის პრეზიდენტმა იუნ სოკ იოლმა თამაშები გახსნილად გამოაცხადა.

წესისამებრ, ფიცი დადეს სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა და მსაჯებმა.

თამაშების გახსნის ცერემონიის კულმინაცია იყო „კანინის ოვალზე“ ოლიმპიური ჩირაღდნის შემომრძანება და შემდეგ ოლიმპიური ცეცხლის დანთება.

გახსნის ცერემონია გაჯერებული იყო პოპის მუსიკალური ნომრებით.

შეგახსენებთ, რომ განგვონის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში სპორტის 7 სახეობის 15 დისციპლინაში მონაწილეობას მიიღებს 78 ქვეყნის 1900-მდე სპორტსმენი, მათ შორის საქართველოდან სპორტის 3 სახეობაში (ფიგურული ციგურაობა, ტრამპლინიდან ხტომა, ციგაობა) იასპარეზებს 6 სპორტსმენი.

ფიგურული ციგურაობა ინგა გურგენიძე. კონსტანტინე სუპატაშვილი.

ტრამპლინიდან ხტომა ესმერალდა ალიევა. გიორგი დიაკონოვი.

საციგაო სპორტი საბა ხაჩიძე. ლუკა მიქაბერიძე.

საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ხელმძღვანელობს სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** ხოლო ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელია სეოკ-ის სპორტული დირექტორი **გიორგი ესაკია.**

ფორუმის სტარტზე ტრამპლინიდან ხტომაში **გიორგი დიაკონოვი** პირველ ცდაზე 63,5 მეტრზე (23,6 ქ) გადახტა, რაც 39-ე ადგილისთვის იყო საკმარისი. მას უკეთესი გამოუვიდა მეორე მცდელობა – 77,5 მეტრზე გადახტა (49,3 ქ) და 32-ე ადგილი ერგო, თუმცა ჯამში დაგროვილი 72,9 ქულით ასპარეზობა 36-ე ადგილით დაასრულა.

ტრამპლინიდან ხტომაში, სამწუხაროდ, უშედეგოდ დაასრულა გამოსვლა **ესმერალდა ალიევამ.**

წარუმატებელი გამოდგა ორადგილიანი ციგით ასპარეზობაც, სადაც **საბა ხაჩიძის** და **ლუკა მიქაბერიძის** წყვილმა ფინიშამდე ვერ მიაღწია.

◎ დეგიუტის შემდეგ

გაგრძელება იქნება!

2024 წლის 20 იანვარი გიძინა ივანიშვილის მიერ განხორციელებული მრავალმილიონიანი ინვესტიციით ფეხზე დაყენებული ქართული რაგბისათვის ოქროს ასოებით კიდევ ერთხელ უნდა ჩაწერილიყო სამამულო სპორტის ისტორიაში, მაგრამ...

საუბარია ჩვენი პირველი ფრანჩაიზის – შავი ლომის ჩელენჯ თასზე სადებიუტო სეზონის დასკვნით შეხვედრაზე, როცა თბილისს ყველაზე ტიტულოვანი გამომცდელი – ფრანგული კლერმონი ეწვია, სადაც თავის დროზე არაერთ ბორჯღალოსანს უთამაშია, მაგალითად – **ლევან ცაბაძესა** და **დავით ზირაქაშვილს**, ხოლო ამჟამად მათ 18-წლამდელთა გუნდს ვიტო კოლელიშვილი ავარჯიშებს.

საპატიო სტუმართა, მათ შორის მსოფლიო რაგბის თავკაცთაგანის – **რიჩარდ მაკქიუს** ღირსეულად დასახვედრად მასპინძლებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს და საზეიმო ღონისძიებათა პროგრამა მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყეს, მაგრამ, სამწუხაროდ, თავი მხოლოდ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეკრებილ დაახლოებით სანახევროდ შევსებულ ტრიბუნებს მოუყარეს. საკითხავია, უქმე შაბათს უკეთესი სანახაობა გულშემატკივარს სად ელოდა?

რაც შეეხება თვით უთანასწორო ბრძოლას, როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად ტურნირის გამოკვეთილმა ფავორიტმა ჩინეზული შთამბეჭდილება მოახდინა და ერთი შეხედვით მძიმე მარცხი გვაგემა – 36:3, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ შექმნილ შავ ლომს მეტოქედ უდიდესი გამოცდილებით – 113-წლიანი ბიოგრაფიითა(!) და ერთბაშად 5 ქვეყნის საუკეთესო ლეგიონერებით გაძლიერებული ანსამბლი ჰყავდა. ისიც სათქმელია, რომ ბიჭები უმთავრესად დერეფანში დათმობილმა უპირატესობამ დააღალატა, მაგრამ მთლიანობაში თვითგვემისთვის საბაბი ნამდვილად არ გვაქვს და აი, რატომ: ჯერ ერთი, ექვსგუნდიან ჯგუფში ახალწვეულის კვალობაზე მისაღები შედეგი ვაჩვენეთ და ერთ-ერთი კონკურენტის დამარცხებით მე-5 ადგილი დავიკავეთ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიღებული ქულების რაოდენობით სულაც მესამენი ვართ! მოკლედ, საბრძოლო ნათლობა, ასე თუ ისე, აქტივშია ჩასაწერი, საკლუბო ელიტაში დაწინაურება კი, გვწამს, დროის ამბავია.

ოპტიმიზმის საფუძველს ის ფაქტიც გვიმყარებს, რომ ამიერიდან როგორც ფრანჩაიზს, ისე ეროვნულ ნაკრებს ავტორიტეტიანი ინგლისელი დამრიგებელი გაწვრთნის **რიჩარდ კოკერილის** სახით, რომელიც ოჯახთან ერთად უკვე 1 თვეა დედაქალაქში ცხოვრობს. სხვათა შორის, როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალს შეშვენის, მან განსაკუთრებით, გაუსვა ხაზი წინამორბედის – **ლევან მაისაშვილის** ჩაყრილ საფუძველს, რომლის სახელსაც უკავშირდება როგორც სანაკრებო (იტალიისა და უელსის ძლევა), ისე საკლუბო წარმატებები (ზედიზედ 3-ჯერ რაგბი ევროპის მოგება). გაგრძელება იქნება!

◎ დაკარგული ტიტული

კრიზისი გრძელდება

სისხლისგან დაცლილმა ნაპოლიმ იტალიის სუპერთასის მესამედ მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა გაუმართა სერია – ა-ს ფავორიტ ინტერს, მაგრამ მე-60 წუთზე მინდვრიდან სიმეონეს გაძევება ძვირად დაუჯდა და ბოლომდე ვეღარ გაძლო – პირველ დამატებულ წუთზე ლაუტარო მარტინესის გატანილი გოლით სიმონე ინძაგის გუნდმა აღნიშნულ ტურნირში მე-8 ტრიუმფი გამოჭედა.

ამ წარმატებით შავ-ლურჯებმა ტიტულებით მილანს გადაუსწრეს, მაგრამ ჯერაც ჩამორჩებიან იუვენტუსს (9).

როგორც მოგეხსენებათ, ოსიმენი და ანგისა აფრიკის თასზე თამაშობენ, ხოლო ჟელინსკი მაძარიმ სათადარიგოთა სკამზე დატოვა. კიდევ უფრო გაგვაკვირვა მის მიერ 70-ე წუთზე კვარაცხელიას შეცვლამ, რომელსაც მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქის მეკარემ რთული გურთი აუღო. ეს, ფაქტობრივად, კაპიტულაციას ნიშნავდა, რადგან კონტრშეტევების წამომწყები სარბიელზე აღარავინ დარჩა. მატჩის წინ გავრცელდა ინფორმაცია იტალიური ფეხბურთის ლეგანდის ლუიჯი რივას გარდაცვალების შესახებ, თუმცა ერ-რიადში მილანელთა ზეიმი მაინც დიდხანს გაგრძელდა.

◎ ბრძენთა თამაში

ლეგენდის თასზე

ახალი სეზონი ქართველმა მოჭადრაკეებმა მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასის გათამაშებით გახსნეს (საპრიზო ფონდი – 7. 300 ლარი). ტრადიციულ ტურნირში 44 ვაუი და 29 მანდილოსანი მონაწილეობდა.

საინტერესო პაექრობების შემდეგ მთავარი პრიზები **ბაადურ ჯობავამ** და **ინგა ხურცილავამ** მოიპოვეს, მეორე ადგილები ლევან ფანცულაიამ და ინგა ჭარხალაშვილმა დაიკავეს, მესამე პრიზიორები კი გიგა ყუფარაძე და მერი არაბიძე გახდნენ.

◎ უკვდავნი

კავკასიური გასროლა

ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაგ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მე-19 მემორიალი პირველად მოიგო გექა წივწივაძის გაწვრთნილმა კავკასიამ, რომელმაც შექმნიდან მე-6 სეზონი ფინალში 5-გზის გამარჯვებული ქუთაისის ძლევით აღნიშნა 104:83.

პრესტიჟული საკალათბურთო ტურნირის საუკეთესო მცველად ჩემპიონთა უკანახაზელი **ლუკა მაზიაშვილი** მიიჩნიეს – 15 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი, ხოლო რჩეულმა ფორვარდმა **ჯავაუნ დენიელსმა** 19 ქულას, 7 მოხსნასა და 2 პასს მოუყარა თავი.



საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 52 წლისა გარდაიცვალა ეროვნული ნაკრებისა (17 მატჩი, 151 ქულა) და რუსთავის „აზოტის“ ერთ-ერთი ლიდერი, ქვეყნის სამგზის ჩემპიონი, თბილისის დინამოს, ბერძნული და პორტუგალიური კლუბების ყოფილი მოთამაშე.

რამაზ გოგობერიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

...განგებ სწავლობს ფრიადებზე, რომ არ გავრიცხოთო!

მიხეილ ქურდიანის გახსენება

პირველ იანვარს მიხეილ ქურდიანს 70 წელი შეუსრულდა... მე-14 დაბადების დღეს შევხვდით მიხეილის გარეშე... ასე ინება არსთაგანმრიგემ...

მიხეილ ქურდიანისთვის არ იყო არაჩვეულებრივი ის, რაც სხვებს უჩვეულოდ გვეჩვენებოდა:

ჩვეულებრივ ასე იყო იმ დროს: ჯერ საკანდიდატო დისერტაციას დაიცავდა კაცი, მერე — სადოქტოროს, მერე გახდებოდა აკადემიკოსი... მიხეილ ქურდიანმა ეს „დალაგებული სისტემა“ „ამოაყირავა“: იგი ჯერ აკადემიკოსი გახდა (მაგალი თოდუასთან ერთად იყო გელათის მეცნიერებათა აკადემიის იდეის ავტორი, დამფუძნებელი და პირველი აკადემიკოს-მდივანი)... მერე სადოქტორო დისერტაციის დაცვა გადაწყვიტა ენათმეცნიერებაში; უთხრეს პირდაპირ სადოქტოროს დაცვა პროცედურულად ძალიან რთულიაო... კარგიო, თქვა, არ გავირთულებ საქმესო; საკანდიდატო დისერტაცია მზად მაქვს ლიტმცოდნეობაშიო და აკადემიკოსმა მიხეილ ქურდიანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ლიტმცოდნეობაში... დამტკიცებისთანავე წარადგინა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ენათმეცნიერებაში... იმ ზაფხულს ქუთაისის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდებზე ვიყავით მიწვეული. ჩემი მანქანით ჩავედით. მთხოვა ტექნიკურ უნივერსიტეტში შემატარეო; ცოტა ხანში გამოვიდა და მაგისტრის დიპლომი მაჩვენა: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს აქ მათემატიკის კათედრაზე მაგისტრატურაში ჩაუბარებია და წარმატებით დაუცავს სამაგისტრო შრომა მათემატიკაში...

ასეთი რამ მხოლოდ მიხეილ ქურდიანს შეეძლო გაეკეთებინა...

ხალისით იხსენებდა: თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ლენინგრადის უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა ესთეტიკაში; წარმატებულ მსმენელად ითვლებოდა. თბილისის უნივერსიტეტში სესიებზე ჩამოდიოდა და... ფრიადოსანი იყო... მაგრამ ჩვენს უნივერსიტეტში გაცდენები დაუგროვდა და იმდროინდელი წესის შესაბამისად დეკანს მიხეილ ქურდიანის გარიცხვის საკითხი დაუსვამს. რექტორს ინფორმაცია მოუთხოვია, როგორ სწავლობსო. გაკვირვებულს უკითხავს, ფრიადოსანი უნდა გამარიცხვინოთო? არ ელოდა ამ კითხვას დეკანიო და თავი „უმართლებია“: განგებ სწავლობს ფრიადებზე, რომ არ გავრიცხოთო... და მ. ქურდიანმა წარმატებით დაასრულა კურსი აქაც, იქაც...

ავანგარდიზმის სპეციალისტი ლიტერატორი მიხეილ ქურდიანი ქუთაისის უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე გახდა; მერე — ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, მერე — თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი, მერე — ენათმეცნიერების ინსტიტუტში თეორიული ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი... ყველგან წარმატებული და გამორჩეული. 2004 წელს თსუ რექტორის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა; ექვსი კანდიდატიდან მეორე ტურში ქ-ნი რუსუდან ლორთქიფანიძე და მიხეილი გავიდნენ... ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ მიხეილს არ გაემარჯვა...

პოლიგლოტი იყო. პირველი დისერტაციის დაცვისას ასეთი „პაექრობის“ მოწმენი გავხდით: მისმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა „შენიშნა“: ვიცოდი, რომ 14 ენას ფლობდა; ამ საბუთში, ახლა რომ ჩაიკითხეს, 15 უწერიაო; დისერტაციის წარდგენის შემდეგ უსწავლიაო („იხუმრა“ თავისებურად)... დისერტანტმა „განუმარტა“ ხელმძღვანელს: ამის შესახებ ხორვატიის მეცნიერებათა აკადემიამ იზრუნაო; სერბული და ხორვატული სხვადასხვა ენებად გამოაცხადაო (ადრე სერბულ-ხორვატული ერთ ენად ითვლებოდა)...

საერთოდ იმპროვიზაციის უნარი ჰქონდა შეუდარებელი; სწრაფი, სხარტი ლოგიკური აზროვნება, უნიკალური მეხსიერება...

შეეძლო გაეხსენებინა (აღედგინა), ვთქვათ, ნიკო მარს რომელი ნაშრომის რომელ სქოლიოში რა აზრი ჰქონდა გამოთქმული (ნ. მარის სქოლიოების სირთულისა სპეციალისტებმა იციან...). კი, ეს საჭიროა სპეციალისტისთვის მაგრამ... ზოგჯერ თავადაც უკვირდა, რატომ და რისთვის მახსოვს ეს ფაქტებიო...

90-იან წლებში ქუთაისის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდებზე დავდიოდით (თავმჯდომარე და კომისიის წევრი)... ადრიანად გავდიოდით თბილისიდან (11 სთ-ზე გამოცდა იწყებოდა ქუთაისში). გვქონდა „თემატური მგზავრობანი“; მაგალითად, თემა „უცნაური ლექსები“, ვთქვათ ასეთი (ზოგი მახსოვს): ერთი ჭყვიშელი ახალგაზრდა პოეტი როგორ ამაყობდა ტაბიძეების თანასოფლელობით:

„ბევრჯერ ჩამიკრავს შიშველი ფეხი
ტაბიძეების ძროხის ფუნაში“...

და მთელი კორიანტელი ოფიციალურად დაბეჭდილი ამდაგვარი ლექსებისა... როგორ ჩავდიოდით ქუთაისში, ვერც ვიგებდით... მისი ცოდნისა და მეხსიერების წყალობა იყო ეს... რომ დაიწყებდა, მერე მოდიოდა და მოდიოდა უწყვეტ ნაკადად...

ორატორი იყო შეუდარებელი... მარტო სოხუმში მიტინგზე წარმოთქმული სიტყვა იკმარებდა ამის დასტურად (როგორც კლასიკოსი იტყოდა, „დაცული იყო ორატორული ხელოვნების ყველა წესი“). აფხაზეთთან დაკავშირებულ გადაცემაში ტელევიზიამ რამდენჯერმე შეგვახსენა ეს გამოსვლა...

მიხეილ ქურდიანის გამორჩეულობასთან დაკავშირებული ბევრი საინტერესო შემთხვევის მოწმე ვყოფილვარ; მრავალთაგან ორიოდეს გავიხსენებ:

ხულოში, დიდაჭარაში, საპატრიარქომ სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარა ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილი... რელიგიის თემაზე ერთი ქალბატონის უტაქტო გამოსვლამ სიტუაცია დაძაბა დარბაზში... მიხეილ ქურდიანის უნიკალურმა ორატორულმა ნიჭმა, ბიბლიისა და ყურანის უზადო ცოდნამ ვითარება დაამშვიდა...

თელავის უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციას ვატარებდით. დაემთხვა: ქალაქ განჯის დამეგობრებული უნივერსიტეტის დელეგაცია ესტუმრა თელავს. ამ ოფიციალურ შეხვედრაზე ჩვენც მიგვიწვიეს. მიხეილმა იმპროვიზებული სიტყვა თქვა; ძირითადად ისაუბრა თემაზე — „რუსთაველი და ნიზამი“... (მერე ვთხოვე, დავაწერინე და გამოვაქვეყნე ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ — № 1-3, 1998); მონუსხულები ისმენდნენ სტუმრებიც და მასპინძლებიც... თელავის უნივერსიტეტი საპასუხო ვიზიტისთვის რომ ემზადებოდა განჯაში წასასვლელად, იქაურ რექტორს უთხოვია, მიხეილი აუცილებლად ჩაერთოთ დელეგაციაში...

„დავაწერინე“-მეთქი... რომ არა ჩემი დაჟინება, ეს წერილიც დაუწერელი დარჩებოდა... და რამდენი ასეთი გამოსვლა დარჩა დაუწერელი... მოუცლელობის მიზეზი მიხეილ ქურდიანის მრავალმხრივი საქმიანობა იყო: მეცნიერებაში, გარდა ლიტმცოდნეობისა და ენათმეცნიერებისა, ისტორიის საკითხებსაც იკვლევდა (საინტერესო დაკვირვებები ჰქონდა ქართლში წმინდა ნინოს მოსვლისა და ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე)... იგი თავის წილ ხარკს უხდიდა მხატვრულ შემოქმედებას (რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი იყო)... იცლიდა პოლიტიკისთვისაც: მ. ქურდიანი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა... აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე: იყო გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი... ცალკე თემაა ნიჭი იუმორისა; ერთხანად სცენაზეც კი გამოდიოდა იუმორისტული ნომრებით... აკადემიკოსი ბესარიონ ჯორბენაძე იტყოდა ხოლმე: მიხეილ ქურდიანის ნიჭი, ძალა და ენერგია ერთი მიმართულებით რომ დახარჯულიყო, შეუდარებელ სიმაღლეებს დაიპყრობდაო...

არ გამოგვრჩეს: 1992 წელს მოულოდნელად „გაუჩინარდა“... აფხაზეთის ომში წასულა... სოხუმის დაცემის შემდეგ ფეხით ურთულესი მარშრუტით, კოდორის ხეობის გავლით, გადმოვიდა ჭუბერში... ამ თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა...

„დავაწერინე“-მეთქი... ბრწყინვალე ხელოვნება ორატორობისა, უნიკალური მეხსიერება, შეუდარებელი ლოგიკური აზროვნება და შესაშური მეცნიერული ინტუიცია — შესაძლებლობას აძლევდა, სამეცნიერო მოხსენებები ზეპირად გაეკეთებინა... სოფო ლობჟანიძეს — მიხეილ ქურდიანის მეუღლეს — უნდა ვუმადლოდეთ, მიხეილმა რომ შეძლო, დაეწერა და გამოეცა 1000 გვერდიანი მონოგრაფია — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“... ეს მიხეილ ქურდიანის „ცხოვრებს წიგნია“... ამ მონოგრაფიის რუსული თარგმანის გამოცემა უკვე მიხეილის გარეშე მოხდა, მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა იზრუნეს... ამ წიგნის შეფასება და დაფასება მომავლის საქმეა....

ვისაც მიხეილ ქურდიანისა და მისი ერუდიტი მეგობრების მსჯელობა-კამათი მოუსმენია რელიგიის, მეცნიერებისა თუ ლიტერატურის სხვადასხვა საკითხზე, დამერწმუნება — მოსასმენად და სანახავად უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი...

ცალკე თემაა მიხეილ ქურდიანი, როგორც მეგობარი... ეთნოგრაფმა როლანდ თოფჩიშვილმა თქვა, ჩემმა შვილებმა ორ-ორი უნივერსიტეტი დაამთავრესო: ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი და „მიხეილ ქურდიანის უნივერსიტეტიო“... ეს „უნივერსიტეტი“ ყველას შვილებმა დაამთავრეს, ვის ოჯახთანაც მიხეილ ქურდიანი მეგობრობდა...

70 წლის მიხეილს დღეს ასე შევეხმიანე... საგაზეთო წერილი მეტს ვერ დაიტევს... სხვა სხვა დროს იყოს...

მადლობა, მიხეილ, შენი არსებობისთვის...

გიორგი გოგოლაშვილი

ქართველი „ჯიბის ქურდები“ პოლონეთში დააკავეს

პოლონეთში, ქალაქ ურსუსში ქურდობის ბრალდებით ქართველები დააკავეს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, 40 და 47 წლის ქართველებმა 53 000 ზლოტზე მეტი ღირებულების ნივთები მოიპარეს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ისინი ჯიბის ქურდები იყვნენ. ჩადენილი დანაშაულისთვის მათ 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ასევე, როგორც პოლონური მედია წერს, სტატისტიკურად ყველაზე მეტ დანაშაულს ქართველები სჩადიან.

იტალიაში, სუპერმარკეტიდან სასმელს იპარავდა

იტალიაში, ერთ-ერთ სუპერმარკეტში, ალკოჰოლური სასმელის ქურდობის მცდელობისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს. როგორც იტალიური მედია წერს, 39 წლის ქართველი კაცი მაღაზიაში მომუშავე პერსონალმა არყის და რომის უნებართვოდ აღების დროს შენიშნეს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ კაცმა გაქცევა სცადა, თუმცა დაიჭირეს და პოლიციას ჩააბარეს. ახალგაზრდა კაცი, იქ მომუშავე ადამიანებს ქართულ ენაზე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. პოლიციამ ნაძარცვი სუპერმარკეტის თანამშრომლებს დაუბრუნა.

იძებნება კაცი, რომელმაც 653 181 ლარი მიითვისა

საქართველოს პროკურატურამ მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. უწყების ცნობით, დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2023 წლის 30 იანვარს, შპს ,,კავკასიის სატრანსპორტო კომპანია 2019“ დააფუძნა და დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, კომპანიის სახელით, ინტერნეტ სივრცეში ავტომანქანების ჩამოყვანის თაობაზე ყალბი განცხადებები განათავსა. ბრალდებულმა მოქალაქეებთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც, შერჩეული ავტომანქანების მესაკუთრეთათვის გადაცემის ვალდებულება აიღო. ამ გზით ბრალდებული 653 181 ლარის ოდენობით თანხას დაეუფლა, რის შემდეგაც მიიმალა.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით — პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მისი ადგილსამყოფელის დადგენის და დაკავების მიზნით.

რატომ დაჭრა კაცმა სამი მეგობარი?

სოფელ ლაფანყურში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს — სამართალდამცველები ცდილობენ, დაადგინონ, რის გამო დაჭრა კაცმა სამი თანასოფელი. თავდამსხმელი და დაჭრილები ერთმანეთის მეგობრები არიან. სამი ადამიანის თოფით დაჭრილისთვის დაკავებული ახლა დროებითი მოთავსების იზოლატორშია. შოთა კაკაური ბრალის ოფიციალურად წარდგენას ელოდება.

დაკავებული, შოთა კაკაური ქვეყნის დატოვებას აპირებდა. ადგილობრივების თქმით, ის წლების განმავლობაში ემიგრაციაში იმყოფებოდა და გერმანიიდან ახალი წლის დღეებში ჩამოვიდა. რაც შეეხება დაჭრილებს, თელავის რეფერალური საავადმყოფოს დირექტორის განცხადებით, მათ ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდათ და ახლა მდგომარეობა სტაბილურია.

ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა

შემთხვევა გუშინ გამთენიისას გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა. შეჯახების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრი. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲗ ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲜᲐᲕᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲜᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ MATKA 2024 ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲜᲝᲠᲓᲘᲙᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲨᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ. MATKA 2024-ᲖᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲔᲜᲓᲗᲐᲜ, ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲡ ᲒᲐᲔᲪᲜᲔᲑ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲤᲘᲜᲣᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲜᲐᲕᲘᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲜᲔᲜ.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲡ 70-ᲛᲓᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ 50 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ 850 ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲗᲮᲘᲕᲔ ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲖᲔ 3-ᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ „ᲒᲘᲖ-ᲒᲘᲖᲘ“ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ 2-4 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲨᲘ, 9-11 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲡ – ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ, 17-18 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲡ – ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲖᲔ, ᲮᲝᲚᲝ 1-3 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲘᲓᲐᲓ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲛᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ ᲞᲔᲠᲤᲝᲠᲛᲐᲜᲡᲔᲑᲘ, ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲛᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲑᲔᲜᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲯᲔᲔᲑᲘ. ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ, ᲡᲠᲘᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲘ, ᲑᲐᲠᲘ, ᲤᲝᲢᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲖᲝᲜᲔᲑᲘ. ᲡᲐᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲗᲑᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ... ᲧᲘᲜᲕᲐ

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲠᲐᲜᲓ ᲰᲐᲕᲔᲜᲨᲘ, ᲛᲘᲩᲘ�გᲐᲜᲘᲡ ტᲑᲐᲖᲔ ᲪᲘᲕᲘ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲨᲗᲐᲛᲨᲕᲔᲯᲓᲐᲕᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲥᲛᲜᲐ. ᲓᲠᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲕᲘᲓᲔᲝᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲨᲢᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲡ. ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲪᲣᲓ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ 90-ᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ. ᲣᲐᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲘᲞᲘᲡ, ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘᲡ, ᲞᲔᲜᲡᲘᲚᲕᲐᲜᲘᲘᲡ, ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ, ᲙᲔᲜᲢᲣᲙᲘᲡ, ᲣᲘᲡᲙᲝᲜᲡᲘᲜᲘᲡ, ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ. ᲝᲠᲔᲒᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ, ᲠᲝᲛᲓᲔᲡᲐᲪ ᲫᲚᲘᲔᲠᲛᲐ ᲥᲐᲠᲛᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ. ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲐᲗᲝᲛᲑᲘᲗ ᲐᲗᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲐ. 45 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲔᲒᲝᲜᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲐ ᲞᲔᲜᲡᲘᲚᲕᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐᲨᲘ, ᲜᲘᲣ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐᲨᲘ.

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲛ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲕᲐ ᲛᲝᲓᲣᲚᲘ SLIM. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲖᲔ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲔᲡ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲡ: ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ, ᲐᲨᲨ-ᲛᲐ, ᲩᲘᲜᲔᲗᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲛᲐ.

SLIM-Ი, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ „ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲡᲜᲐᲘᲞᲔᲠᲡ“ ᲔᲓᲐᲮᲘᲐᲜ, ᲡᲘᲝᲠᲘᲡ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 100 ᲛᲔᲢᲠᲨᲘ. Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲣᲰᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲔᲐᲚᲨᲘ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, JAXA-ᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲓᲣᲚᲘᲡ ᲛᲖᲘᲡ ᲞᲐᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲛᲔᲓᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ ᲞᲐᲜᲔᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲡ. ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲒᲠᲣᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲐᲐ.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲯᲐᲖᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ, ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ.

ᲛᲗᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲯᲐᲖᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲯᲐᲖᲘ“ – ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ. ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲝᲠᲓᲦᲘᲐᲜ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ 11 ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ �გᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲑᲘᲐᲜ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ ᲡᲙᲝᲢ ᲥᲘᲜᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. 25 ᲗᲔᲗᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲯᲐᲖᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲡ ᲰᲐᲣᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲜ. ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲯᲐᲖᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡ, ᲗᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘ

ᲕᲘᲡᲙᲝᲜᲡᲘᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲠᲐ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲡ.

ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ, ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ, 1,3 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲫᲐᲦᲚᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲙᲠᲐᲜᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲙᲘ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲓᲘᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲫᲠᲝᲮᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲗᲐ 76%-ᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘ „ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ“ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ ᲛᲣᲚᲢᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ, ᲑᲔᲕᲠᲡ „ᲡᲙᲣᲑᲘ-ᲓᲣ“ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲕᲚᲔᲜᲔᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ 18% ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲘᲓᲔᲝᲗᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ.

ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ – ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ. Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲐᲠᲐᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲛ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ №116 (ᲓᲘᲓᲣᲑᲐᲡ ᲞᲚᲐᲢᲝ)

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢ-ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,
ᲛᲐᲘᲐ ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ
ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲒᲕᲘᲚᲘᲐ

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ
GE90BG0000000538329790

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ:
ᲨᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 36-00-